ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი.

მხატვარი გოგი თოთიბაძე.




# შენ მზე ხარ!

შენ გაუთენე მშრომელებს დილა
და გაუნათე ტანჯული დღენი,
შენი სახელი ჩვენს გულში ბრწყინავს,
ძვირფასო ლენინ!

შენი დროშის ქვეშ ლაღობს და
ხარობს,
სიამით ფეთქავს გულები ჩვენი,
შენ ხარ სინათლის უშრეტი წყარო,
შენ მზე ხარ, ლენინ!

**ელენე სარალიძე,**
ვანის რაიონის, ზეინდრის რვაწლიანი
სკოლის VII კლ. მოსწავლე.

# საპატიო დავალება

10.379.

1966 წლის 21 ნოემბერი. ლენინგრადი... ვათვალიერებთ ოქტომბრის რევოლუციის აკვანს—სმოლნს.

...აი, ლენინის ოთახი. აქ ცხოვრობდა და მუშაობდა ვ. ი. ლენინი, ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად. აქედან, ექსკურსიის მძღოლის თანხლებით, მივდივართ სააქტო დარბაზში.

უცებ, ექსკურსიის მძღოლს გაახსენდა, რომ დარბაზის გასაღები დარჩა ლენინის ოთახში. მან ყურადღება ჩემს პიონერულ ყელსახვევზე შეაჩერა და, როგორც ყველაზე პატარას, მომცა საპატიო დავალება: გამეღო ლენინის ოთახი და გამომეტანა ყრილობათა დარბაზის გასაღები.



არ მახსოვს, როგორ გავირბინე სმოლნის სასახლის დერეფანში საკმაოდ დიდი მანძილი... შევედი ლენინის ოთახში და გამოვიტანე იქიდან გასაღები, რომლითაც ყრილობათა დარბაზის კარები გააღეს.

ეს დღე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება და მინდა ამის შესახებ ყველამ იცოდეს.

**დავით კლდიაშვილი,**
ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის
IV კლასის მოსწავლე.



# ძვირფასი წვლილი

როდიონ ქორქია

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

ზარაფხანაში არაჩვეულებრივი მიტინგია. ჩვეულებრივ, მიტინგს წინასწარ აცხადებენ ხოლმე. ეს მიტინგი კი მოულოდნელად შედგა. აუშვეს ქარხნის საყვირი და გამოცვივდნენ მუშები ეზოში. ვიღაცამ ცარიელი ყუთი მოარბენინა. ერთი ჭაღარა მუშა იმ ყუთზე შედგა და თქვა:

— ამხანაგებო, ვოლგისპირეთში შიმშილია! მთელი ჩვენი ქვეყანა აგროვებს დამშეულთათვის შეწირულებას; ვისაც შეუძლია, ოქროს ნივთებსა და ძვირფასეულობას იძლევა დამშეულთა დასახმარებლად... ეს თქვენ ყველამ იცით...

— ვიცით, ვიცით, — დაუდასტურეს მუშებმა.

მართლაც, ყველამ იცოდა, რომ ვოლგისპირეთში საშინელი შიმშილი იყო. დამშეულთა დასახმარებლად ოქროსა და ძვირფას ნივთებს აგროვებდნენ. ეს ოქრო მოჰქონდათ ზარაფხანაში, აქ გადაადნობდნენ და ზოდებად აქცევდნენ, ზოდებს კი საზღვარგარეთ აგზავნიდნენ და პურზე ცვლიდნენ; ამ პურს დამშეულებს ურიგებდნენ.

იდგა 1921 წელი, დიდი შიმშილობის წელი.

ორატორი განაგრძობდა:

— მაგრამ, თქვენ იცით თუ არა, საიდან გაჩნდა ზარაფხანაში ეს ნივთი? — ორატორმა ასწია პატარა ნივთი. ზაფხულის მზეზე ოქრო აბრჭყვიალდა...

— ესაა ოქროს მედალი. ასეთ მედალს მეფის დროს იმ მოწაფეს აძლევდნენ, ვინც წარმატებით ამთავრებდა გიმნაზიას. მედალს აწერია: „ვლადიმერ ულიანოვს წარჩინებისათვის".

— ლენინისა ყოფილა!.. ილიჩისა ყოფილა!.. — გაისმა მუშებში.

— როგორც ჩანს, მისულან ლენინთან დახმარებისათვის, — განაგრძო ჭაღარამ, — მაგრამ ლენინს ოქროსი ან სხვა ძვირფასი ნივთი არა ჰქონია და თავისი ოქროს მედალი შეუწირავს... ჩუმად, ჩუმად, ამხანაგებო!..

მაგრამ სიჩუმე დაირღვა. ეზო ახმაურდა. როგორც ფუტკარი სკაში რიგიდან რიგში გადადიოდა აღელვებული ხმები:

— ლენინს ძვირფასი ნივთები არა ჰქონია!

— ლენინს თავისი ოქროს მედალი მიუცია!..

— აი, ძვირფასი წვლილი!.. აი, ილიჩი!..

როდის-როდის ჩამოვარდა სიჩუმე და ჭაღარამ განაგრძო:

— ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა მძიმე პირობებში ცხოვრობდა ილიჩი. ის იჯდა ციხეში, იყო გადასახლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში, უჭირდა ემიგრაციაში... უჭირდა, მაგრამ მოწაფეობის სამახსოვრო მედალი არ გაუყიდია... ინახავდა, როგორც ძვირფას მოგონებას... ახლა კი, ახლა გაიმეტა. ჩვენი დაშმეული ძმებისა და დებისათვის, მამებისა და დედებისათვის გაიმეტა... ჩვენი შვილებისათვის გაიღო...

ჭაღარას ხმა ჩაუწყდა. გაიტრუნა ეზოც. და თითქოს ჩურჩულით ჰკითხა ხალხის გულს ჭაღარამ:

— რა ვქნათ? გადავადნოთ ლენინის მედალი?

— არა! არ გადავადნოთ! შევინახოთ! — დაიგუგუნა ხალხმა.

— მაშ, მივჩხრიკ-მოვჩხრიკოთ ჩვენი ოჯახები, — დაასკვნა ჭაღარამ. — ეგებ გვაქვს რამე?.. ვთხოვოთ ჩვენს დედებს, ჩვენს ცოლებს — მოგვცენ ბეჭედი, ან ნათლობის ჯვარი... აი, ისინი გადავადნოთ.. ეს მედალი კი შევუნახოთ ჩვენს თაობებს, ჩვენს ქვეყანას...

— შევუნახოთ!. შევუნახოთ! — იგრიალა ხალხმა.

მედალი აწონეს. 30 გრამს იწონიდა...

მუშების ოჯახებში კი 90 გრამი ოქროულობა მოჩხრიკეს...

ის მედალი ახლა ლენინის მუზეუმში ინახება — მოსკოვში.

# ჩიტბატონა

ჩიტბატონა ძალიან ლამაზი ჩიტია. უყვარს გალობა და ცხოვრობს ტყეში.

რუსეთში იჭერდნენ ხოლმე ჩიტბატონას და ყიდდნენ. ასეთ ადამიანებს მეჩიტეს ეძახიან.

რუსეთში ჩვეულებაა: ჩიტებს რომ იყიდიან, გალიაში გამოაზამთრებენ და გაზაფხულზე გაათავისუფლებენ.

ვალოდია ულიანოვიც მისდევდა ამ ჩვეულებას. მას მოსწონდა ჩიტბატონა. ან თვითონ დაიჭერდა, ან იყიდიდა მეჩიტესაგან, ჩასვამდა გალიაში და გამოაზამთრებდა. გაზაფხულზე კი გალიის კარს ულებდა ჩიტბატონას და თავისუფლად უშვებდა.

ერთხელ დიდი უსიამოვნება შეემთხვა ვალოდიას. გალიაში რომ ჩიტბატონა ჰყავდა, სწორედ გაზაფხულის პირას მოუკვდა.

— შენი ბრალი ხომ არაა, ჩიტბატონა რომ მოკვდა? — უსაყვედურეს ვალოდიას. — ალბათ, დაგავიწყდა საჭმლის მიცემა.

ვალოდია მოიღუშა. ლამაზი ჩიტის სიკვდილმა დაალონა და დიდხანს იყო ჩაფიქრებული. შემდეგ გადაჭრით თქვა:

— ამას იქით მე ჩიტს აღარ დავამწყვდევ გალიაში.

მართლაც, მას შემდეგ ვალოდიას ჩიტი აღარ დაუმწყვდევია გალიაში.



## თქვენ გასაგონად, ტყემლებო

ცაში ღრუბელი ირევა,
თავს არ გვავიწყებს ავდარი,
თქვენ უკვე ისე აყვავდით, —
თოთქოს შორს დარჩა ზამთარი!

თვალს მიეფარა ახლახან,
აქ კიდევ დარჩა სამკვიდრო.
ბუზღუნ-ბუზღუნით წასული,
რომ შემობრუნდეს, რას ფიქრობთ!

კარს მოგვაყენოს დღეები
გაავებული სიცივის...
როგორ მიყურებთ, ტყემლებო,
რა გულუბრყვილოდ იცინით!

## ნაკადულებო, ფრთხილად!

ჯეჯილი წამოიზარდა,
მწვანედ ხასხასებს მოლი,
წყაროსთვალივით აჩქეფდა
მთაში დამდნარი თოვლი.

ადიდდნენ ნაკადულები,
მღვრიე გულისთქმას აყვნენ,
ხან ლოდებს ედავებიან,
ხან აწყდებიან მაყვლებს.

ნუ გათამამდით ძალიან,
ნაკადულებო, ფრთხილად! —
ჭალაში ყვავილებია,
არ გაუმწაროთ დილა.

გიორგი კაჭახიძე.



საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა ეროვნებათა ძმური კავშირის შექმნის იდეა. 1919 წლის 28 დეკემბერს უკრაინის მუშებისა და გლეხებისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი გარკვევით მიუთითებდა: „კაპიტალი საერთაშორისო ძალაა. მის დასამარცხებლად საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა... ჩვენ გვსურს ერების ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე".

1922 წლისთვის საბჭოთა ქვეყანამ თავისი განვითარების ახალ ისტორიულ მიჯნას მიაღწია. დამთავრდა სამოქალაქო ომი და საერთაშორისო ინტერვენცია, საბჭოთა ქვეყნის ტერიტორია საბოლოოდ გაწმენდილ იქნა თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა ბანდებისაგან. მაგრამ



რევოლუციის მონაპოვარს ჯერ კიდევ საფრთხე ემუქრება — ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფებოდა. ამ რთულ სიტუაციაში ვ. ი. ლენინმა გამონახა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების განვითარების სწორი გზა მათი გაერთიანების სახით, რაც დამყარებული იქნებოდა ნებაყოფლობით, ძმურ ურთიერთკავშირზე. ასეთი კავშირის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყანა შესდგომოდა სოციალიზმის მშენებლობას.

სოციალისტური რესპუბლიკების ერთ კავშირად გაერთიანებას წინ უსწრებდა თითოეულ რესპუბლიკაში ფართო მოსამზადებელი მუშაობა, რომელსაც ადგილობრივი კომუნისტური პარტიები ანხორციელებდნენ. ისინი თავიანთ კონფერენციებზე წინასწარ იხილავდნენ გაერთიანების ლენინურ იდეას, აღნიშნავდნენ მის უდიდეს მნიშვნელობას და გამოჰქონდათ შესაბამისი რეზოლუციები ასეთი კავშირის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ურთიერთ შეკავშირებისა და გაერთიანების ამ გზაზე პირველი მტკიცე ნაბიჯები გადადგეს ამიერკავკასიის რესპუბ-

# ხალხთა

ლიკებმა. მათ, სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით, 1922 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე შექმნეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (ამფსრ). ამავე ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ლენინური იდეა. იმავე დღეებში ერთ კავშირში გაერთიანებას მხარი დაუჭირეს ბელორუსიის, უკრაინის და რუსეთის საბჭოების ყრილობებმა.

1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში შეიკრიბა საბჭოების I ყრილობა. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სხვადასხვა ხალხის შვილები თანასწორი უფლებებით შეხვდნენ ერთმანეთს, რათა გაერთიანებული-ყვნენ და შეექმნათ ერთიანი საბჭოთა სახელმწიფო.

საბჭოების I ყრილობა, რესპუბლიკების დელეგაციების წარმომადგენელთა დავალებით, გახსნა კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა უხუცესმა წევრმა, დელეგატმა რსფსრ-დან, პეტრე სმიდოვიჩმა. „დღემდე ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოები, — თქვა მან, — ერთ საბრძოლო ფრონტზე იდგნენ, როგორც ცალკეული არმიები. ჩვენ ერთად ვიცავდით საბჭოთა ხელისუფლებას იმპერიალისტური სახელმწიფოების გაერთიანებული ფრონტის შემოტევისაგან. და აი, დადგა დრო, როცა ჩვენც ვერთიანდებით".

# ძმური

მძიმე ავადმყოფობის გამო ყრილობას ვერ დაესწრო ამ გაერთიანების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ვ. ი. ლენინი. დელეგატებმა იგი ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს. ყრილობის დღის წესრიგის ძირითად საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: მ. ვ. ფრუნზემ, ასფსრ-ს სახელით გამოსულმა ს. მ. კიროვმა, გლეხმა გავრილ ოდინცმა — დელეგატმა ჩერნიგოვის გუბერნიიდან, კომუნისტური ინტერნაციონალის სახელით ვ. კოლაროვმა და სხვ.

ყრილობამ ძირითადი მოხსენების საფუძველზე დაამტკიცა დეკლარაცია და ხელშეკრულება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) შექმნის შესახებ. ამ დოკუმენტების საფუძველზე სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების I ყრილობამ აირჩია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი) და შექმნა საკავშირო მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო. მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი, ცაკ-ის თავმჯდომარეებად თანასწორი უფლებებით დამტკიცებულ იქნენ ოთხივე მოკავშირე რესპუბლიკებიდან: მ. ი. კალინინი, გ. ი. პეტროვსკი, ა. მ. ჩერვიაკოვი და ნ. ნ. ნარიმანოვი.

ყრილობაზე მიღებულ დეკლარაციაში ხაზგასმით იყო მითითებული: ,,გარემოება დაბეჯითებით მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებას ერთ საკავშირო სახელმწიფოდ, რომელიც შესძლებს უზრუნველყოს ხალხთა საგარეო უშიშროებაც, შინაური სამეურნეო წარმატებაც და ნაციონალური განვითარების თავისუფლებაც.

... ვაცხადებთ რა ყოველივე ამას მთელი მსოფლიოს წინაშე და საზეიმოდ ვაღიარებთ რა საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლების შეურყევლობას... ჩვენ, ამ რესპუბლიკების დელეგატები, მოცემულ რწმუნებათა საფუძველზე, ვადგენთ: ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას ,,საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.“

ხელშეკრულებაში კი მითითებული იყო მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციურ საფუძვლებზე, ზუსტად იყო განსაზღვრული საკავშირო და რესპუბლიკური მთავრობების უფლებამოვალეობანი; იქვე აღნიშნული იყო, რომ ხელშეკრულება ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას უტოვებდა კავშირიდან თავისუფლად გასვლის ხელშეუხებელ უფლებას, ისე როგორც, არავის არ ეკრძალებოდა ამ კავშირში შესვლა, რომელიც მომავალში სოციალისტური მშენებლობის ლენინურ გზას დაადგებოდა.

ცაკ-ის მიერ ამავე ყრილობაზე გამოყოფილ კომისიას დაევალა სსრ კავშირის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის შემუშავება. 1924 წლის 26 იანვარს სსრკ საბჭოების II ყრილობამ მიიღო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პირველი კონსტიტუცია — სახელმწიფოს ძირითადი კანონი. კონსტიტუციაში მითითებული იყო იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკების ურთიერთობა განისაზღვრებოდა ფედერაციის ლენინური პრინციპების საფუძველზე, რაც გულისხმობდა მოკავშირე რესპუბლიკათა თანასწორუფლებიანობას და ნებაყოფლობითი უფლებების შენარჩუნებას.

საბჭოების I ყრილობის მუშაობაში რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის დელეგატებთან ერთად მონაწილეობდა ამიერკავკასიის ხალხების 65 წარმომადგენელი.

სსრ კავშირის შექმნა წარმოადგენდა ლენინიზმის იდეების ტრიუმფს, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას. მასში განხორციელდა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის, ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ლენინური პრინციპები. სსრ კავშირის შექმნა წარმოადგენდა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას ჩვენი სამშობლოს ხალხების ცხოვრებაში. ამით მთელი კაცობრიობისათვის ნაჩვენები იყო ის გზა, რომლითაც შეიძლებოდა ეროვნული საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცოცხალ განსახიერებას, ხალხთა დიადი მეგობრობის, ურღვევი ერთიანობისა და დარაზმულობის შესანიშნავ ნიმუშს.

1924 წლის იანვარში, ვ. ი. ლენინის კუბოსთან პარტიის სახელით წარმოთქმულ ფიცში. ი. ბ. სტალინი ამბობდა, რომ ჩვენი პარტია კვლავაც იბრძოლებდა, რათა გაეფართოებინა და განემტკიცებინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმური კავშირი. მართლაც, შემდგომ წლებში უდიდესი წარმატებები იქნა მოპოვებული ამ მხრივ. 1924 წლის ოქტომბერში სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების პირველ ოთხეულს შეემატა უზბეკეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკები, რომლებიც მანამდე რსფსრ-ს შემადგენლობაში შედიოდნენ; 1925 წელს ტაჯიკეთის ასსრ გამოეყო უზბეკეთის სსრ-ს და ძმური კავშირის დამოუკიდებელი წევრი გახდა. 1936 წელს, საბჭოების VIII ყრილობაზე მიღებული ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ავტონომიური რესპუბლიკები გამოეყვნენ რსფსრ-ს და მოკავშირე რესპუბლიკებად გარდაიქმნენ. ამავე წელს გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაციაც, რომელმაც შესანიშნავად შეასრულა თავისი როლი და საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ უშუალოდ როგორც მოკავშირე რესპუბლიკები. ამ პერიოდისათვის სსრ კავშირი უკვე გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა გახდა. მთლიანად შესრულდა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა, განხორციელდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მთლიანი კოლექტივიზაცია სოფლად, საბოლოოდ მოისპო ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა კლასები.

1936 წელს, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, სსრ კავშირის შემადგენლობაში შედიოდა ნებაყოფლობით გაერთიანებული 11 მოკავშირე რესპუბლიკა. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მონაპოვარი — მრავალეროვანი სახელმწიფოს ახალი ტიპი.

ფინეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ საბჭოთა კავშირს შემოუერთდა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის საფუძველზე 1940 წლის 31 მარტს კარელიის ასსრ გარდაიქმნა კარელია-ფინეთის მოკავშირე რესპუბლიკად და უშუალოდ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში.

იმავე წლის აგვისტოში გამართულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიამ დააკმაყოფილა ბალტიისპირეთის სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელთა თხოვნა და სსრ კავშირის შემადგენლობაში მიღებულ იქნენ ლიტვის, ლატ-



ვეისა და ესტონეთის რესპუბლიკები. ამავე გადაწყვეტილებით, მოლდავეთის ასსრ, რომელიც მანამდე უკრაინის სსრ შემადგენლობაში შედიოდა, გარდაიქმნა მოლდავეთის სსრ რესპუბლიკად.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის წინ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი აერთიანებდა 15 მოკავშირე რესპუბლიკას.

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილების უნიკალურობამ განსაკუთრებით მკვეთრად გამოავლინა დიდი სამამულო ომის პერიოდში. როგორც ცნობილია, ჰიტლერელები ვარაუდობდნენ, რომ მათი თავდასხმის პირველსავე დღეებში სსრ კავშირი დაიშლებოდა, ბრძოლა ატყდებოდა ქვეყნის შიგნით მცხოვრებ ხალხთა შორის. მაგრამ ისინი მწარედ მოტყუვდნენ. ომის განსაცდელმა კიდევ უფრო გამოაწრთო ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა და მტკიცედ შეაკავშირა ისინი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო.

ამჟამად სსრ კავშირის შემადგენლობაში შედის 15 მოკავშირე (1956 წელს კარელია-ფინეთის სსრ გარდაიქმნა კარელიის ასსრ-დ და შევიდა რსფსრ-ს შემადგენლობაში) და 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ნაციონალური ოკრუგი. თითოეული რესპუბლიკა, დიდია იგი თუ პატარა, სარგებლობს ერთნაირი უფლებებით — სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. ცხოვრებაში ბრწყინვალედ ხორციელდება ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობის ლენინური იდეები. ლენინური ნაციონალური პოლიტიკა წარმოადგენს გრანიტის მტკიცე საფუძველს ჩვენი ქვეყნის ყველა წარმატებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში კვლავაც ყოველმხრივ განვითარდება თითოეული ერისების ეკონომიკა და კულტურა.

**ბელა საითიძე.**

საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

გივი კაკაბაძე

# ეს მზიანი ჰორიზონტი!

ფოტო
ანზორ ჩიგოგიძისა.





ანისლურ ჰორიზონტზე მზე ამოდის...

თითქოს ურიცხვი ხელები ქვებს ხელით ქათქათა შენობების მოოქროვება დაიწყო, ცაში აფარფრებული მილებს ვაზის ლერწებივით შემოხვეია ხასხასა სხივები. შეჭირხლულ, ნაცრისფერ სიერცეს თანდათან მოერია ვარდისფერი, ბაერში ოქრო გადნა და სამოდ დაითხა. გამახსენდა: „მზე აიწია ფეხის წვერებზე, მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა"... ილონ — ეს თბილისზეა ნათქვამი, ცაში აფარფრებული მილები კი... რუსთავ-ქალაქშია.

დღეს — რუსთავიც მზის ქალაქია, მზისა და... ფოლადის ქალაქი!

მე და ჩემი მეგობარი — ანზორ ჩიგოგიძე რუსთავის პიონერთა სახლის მიგადეჭით (ანზორი ინჟინერი კაცია, მაგრამ თავდავიწყებით უყვარს ფოტოხელოვნება) რედაქციამ დაგვავალა — დაეწერეთ ნარკვევი რუსთავის პიონერებზე. მაგრამ, კერძოდ, რაზე? ვისზე? რომელ სკოლაზე? ეს უკვე ჩვენი „ალღოს" საქმეა!..

— დაგვისახელეთ ერთ-ერთი პიონერი, რომელიც ყველაფერში სანიმუშოა,— ვთხოვეთ პიონერთა სახლის თანამშრომლებს.

— მასეთი ხომ ბევრია! — ერთხელი ღიმილით გადახედეს ერთმანეთს ნორა ძიძიგურმა — მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგემ და ლილა ჭოტაშვილმა, — პიონერული მუშაობის განყოფილების გამგემ. მაგრამ უცებ, თითქოს შეთანხმებული არიანო, ერთხმად წამოიძახეს:

— თინიკო!

— ხატიაშვილი? — ჩაერია საუბარში მესამე თანამშრომელი.

— ჰო, თინიკო ხატიაშვილი.

... რამდენიმე წუთში კარებში შემოცქრიალდა თავლისფერთვალება გოგონა და ღიმილით მოგვესალმა. ჩვენი მისვლის მიზანი რომ გაიგო, უცებ შეიცვალა, თითქოს სითამამე დაკარგა, თითქოს დაიმორცხვა კიდეც. ასე ჩანს გარეგნულად, მაგრამ თვალების ციმციმზე ეტყობა, სულსა და გულში სიხარულის ოქროს ჩიტი უფრთხიალებს. ჰო, მიხვდა თინიკო, რამიც იყო საქმე: მასზე უნდა დაეწერით, მის ამხანაგებზე უნდა დაეწერით, მის საყვარელ ქალაქში უნდა გავიდეთ, მისი სკოლა უნდა ვნახოთ და... ყველაფერი ეს უნდა გაიგოს მთელმა საქართველომ! ასე „ანგარიშობდა" თინიკო ხატიაშვილი, მისი ეშმაკილი ოცნება; და ამას იმ წუთში ერქვა მხოლოდ ერთი სახელი: — ბედნიერება!

თინიკოს თვალებში ახლა მზე ბრდღვიალებს!

ეს ის მზეა — წეღან შეჭირხლული ჰორიზონტის იქით რომ ამოდიოდა!

---

წადი, იარე — წითელყელსახვევიანო გოგონავ! გააკეთე შენი საქმე, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ყოველგვარი წინასწარ შედგენილი გეგმის გარეშე! გაერიე შენს მეგობრებში, — გინდ ითამაშე მათთან, გინდა სერიოზულად ისაუბრე... გააკეთე ყველაფერი ის, რაც უნდა გაგეკეთებია უჩვენოდაც. ჩვენ რომ არ ჩამოვსულიყავით შენს საყვარელ რუსთავში!... ასე უფრო გავიგებთ — როგორია ერთი პატარა გოგონას დიდი ცხოვრების დღე... წადი, იარე, — გააკეთე შენი საქმე, თვალისფერთვალება თინიკო! მოგყვებით ჩვენც!..

შეკრებაზე მიდიან საქილიკო პიონერული შტაბის წევრები... მალე გაიღვიძებს კამათი და მსჯელობა — რომელ სკოლაში რა გაკეთდა ერთი კვირის განმავლობაში.



დედიკო, დღესაც ხუთიანი! რომელ საგანში? — ყველაში!

---

თინიკო შესვენებაზე იყო გამოსული. გაკვეთილისთვის უნდა მოესწრო. მე-16 საშუალო სკოლა იქვეა, პიონერთა სახლთან.

გამოვედით ქუჩაში და გეზი სკოლისაკენ ავიღეთ.

თან გამოგვყვა ნორა ძიძიგური.

ქუჩაში ცოტაა ხალხი. ისინი ახლა მარტენის ღუმელებთან დგანან, ასე ითქმება თორემ, კი არ დგანან — საქაზე და მკერდზე ლვარ-ლვარად გადასდით ხვითქი!. ისინი ახლა მოლულენე დაზგებთან და ჩარხებთან ტრიალებენ, კაპროლაქტამის ქარხანაში ჭქმნიან საოცარ ნახელავს...

...იმ ურიცხვ მილტკარის თავისი საქმე დაუმთავრებია, ქათქათა სახლები მოუვარაყებია და მზე ახლა ოქროს წყალში ამოვლებული ფუნჯივით ჰკიდია ცაზე...

აი, თინიკოს სკოლაც!. ზღურბლზე ფეხი გადავდგით და, ზარიც აწკრიალდა. თინიკო გაკვეთილზე შევიდა.

ნორა ძიძიგური გვაცნობს სკოლის დირექტორს — ტატიანა ლაბახუას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მანანა ბულაშვილს (მარცხნივ) „ხელს აძლევს" თინიკო ხატიაშვილთან ერთად მეცადინეობა.

კარგა ხანს ვისაუბრეთ. აქო და აქო თინიკო... თინიკო და მისი ამხანაგები — გ. ცერაძე, ლ. გვასალია და სხვები.

— თინიკო ჩვენი სიამაყეა. იგი პიონერებმა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ფრიადოსანია. სხვებსაც ეხმარება. პირში თქმა უყვარს. გულისხმიერია... კიდევ რა, — კმაყოფილად ჩაიღიმა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა მერი თხელიძემ.

— მთავარი „თანამდებობა" გამოგრჩა, — თქვა თინიკოს კლასის ხელმძღვანელმა ეკატერინე ზამბახიძემ, — საქალაქო პიონერული შტაბის უფროსია!

— ჩვენი რაზმეული ჩაბმულია გაზეთ „ნორჩი ლენინელის" მიერ გამოცხადებულ თამაშში — „დიადი გზის ეტაპები „50", — განაგრძობდა უფროსი პიონერხელმძღვანელი, — ვმონაწილეობთ „პიონერსკაია პრავდას" მიერ მოწყობილ სამხედრო თამაშშიც: „ცისკარი". თინიკოს და მის ამხანაგებს მიმოწერა აქვთ ფრანგ პიონერებთან. — ძალიან მინდა საქართველოში ჩამოსვლაო, — მოიწერა ერთმა ფრანგმა პიონერმა. ეს რომ წაიკითხეს, თინიკომ და მისმა მეგობრებმა სიცილით თქვეს: — არც ჩვენ გვაწყენდა სენას ნაპირებზე გასეირნებაო. იქნებ აუხდეთ კიდეც პატარებს ოცნება, ვინ იცის!..

საუბარში დრო მალე გავიდა. ზარი დაირეკა.

ვიდრე სკოლის შენობიდან გარეთ გამოვიდოდით, უფროსმა პიონერხელმძღვანელმა იმდენი ჰქნა, რომ პიონერთა ოთახში შეგვიყვანა.

მშვენიერი სანახავი იყო იქაურობა: ოთახში ფუსფუსებდნენ პიონერები — ზოგი ხატავდა, ზოგი კედლის გაზეთის სათაურს წერდა, ზოგი რას აკეთებდა და ზოგი— რას...

ვემშვიდობებით სკოლის დირექტორს, მასწავლებლებს, უფროს პიონერხელმძღვანელს და... ისევ ქუჩაში ვართ.

— აი, ეს იქნება პიონერთა ახალი სახლი, — გვეუბნება ნორა ძიძიგური და ერთ საკმაოდ მოზრდილ შენობაზე გვითითებს. — მაშინ სულ სხვა საქმეა..

...სწორია: სადაც ასე გულისხმიერი აღმზრდელები არიან, სადაც ამდენი სიცოცხლით სავსე, შრომისმოყვარე გოგო-ბიჭია, როგორც იტყვიან „გასაქანიც" მეტია საჭირო! (თუმცა, რომელ ქალაქში, რომელ სოფელში არ არის გულისხმიერი აღმზრდელები, სად არ შეხვდებით სიცოცხლით სავსე, შრომისმოყვარე გოგო-ბიჭებს!).

ისევ პიონერთა სახლთან მიგვიძღვა თინიკო ხატიაშვილი! შემოგვეგება სახლის დირექტორი ნინო კუტალაძე. ეზოში წითელყელსახვევიანი, ფაქიზად ჩაცმული ბავშვები ჟრიამულობენ...

აქ დღეს, თურმე, საქალაქო პიონერული შტაბის შეკრებაა. რაღა თქმა უნდა — დავესწარით...

შტაბის შეკრება კვირაში ერთხელ ტარდება. შტაბი ქალაქის ყველა სკოლიდან ანგარიშს იბარებს — რა გაკეთდა იქ ერთი კვირის განმავლობაში. ასე იყო ახლაც. გახურდა კამათი, მსჯელობა... იყო რჩევა, დარიგება, მითითება... ყველაფერ ამას საქალაქო შტაბის უფროსი — თინა ხატიაშვილი ხელმძღვანელობდა. პატარა მოქალაქეების „საქმიანი განწყობილება" ძალზე მოგვეწონა.

ეზოში ვეება ავტობუსი შემოგუგუნდა. რაშია საქმე?

— ახლა მარტენის საამქროს უნდა ვესტუმროთ, პატაკი უნდა ჩავაბაროთ ამ საამქროს უფროსს, ცნობილ მეფოლადეს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამირან ფანცულაიას, — გვეუბნება თინიკო.

— არ დაიღალე?

— არა... ცოტა...



მარტენის ღუმელე-
ბის დგრიალში პიო-
ნერები პატაკს აბა-
რებენ სახელგან-
თქმულ მეფოლა-
დეს — ამირან ფან-
ცულაიას.



ონავრების მორიგი გაკიცხვა პიონერთა ოთახში.



ცინცხალი გონების ნათელი თანდათან ფანტავს ფორმულების ბურუსს... საცაა, გამოიხსნება იდუმალი ხლართი.

ავტობუსში ჩავსხედით. აგერ — დოლი, აგერ — საყვირი, აგერ — პიონერული დროშა... ბავშვები საცეკვაო ფორმაში არიან გამოწყობილნი. აქ არიან ნორჩი მომღერლებიც... ეს ხომ დღესასწაულია, — სიცოცხლისა და სიჭაბუკის დღესასწაული.

შევდივართ მარტენის საამქროში. შესასვლელში გხვდება ჩემი ძველი მეგობარი, რუსთავის ფოლადის პირველი გამომდნობელი შალვა კუხალეიშვილი. აქ საიდან მოხვდიო, — მეკითხება. თინიკოს კვალს მოვყევი-მეთქი, კპასუხობ. ვერაფერი ვერ გაიგო. იქვე, მარტენის ღუმელების თაკარაში, მოეწყო პიონერული ხაზი. ქერა ბიჭუნამ გაახურა დოლი. გაისმა საყვირის ხმა. თინიკო ამირან ფანცულაიასთან მივიდა და პიონერულად მიესალმა. მერე... რაღაცა მოუყვა. მერე... ამირანმაც აამოძრავა ბაგეები. მართალი გითხრათ, ჩვენ არაფერი არ გვესმოდა, ისე გუგუნებდნენ და ღუღღურებდნენ ღუმელები. ამირანს და თინიკოს კი უსათუოდ ესმოდათ ერთმანეთისა!..

— ასეა ხშირად, — მითხრა ალალი ღიმილით ამირანმა და საქმეს მიაშურა.

მერე... საამქროს კლუბში ვართ. კლუბი ხალხითაა გაჭედილი. საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი უნდა წამოაყენონ.

...დამთავრდა საქმიანი ნაწილი და დაცარიელებულ სცენაზე გოგო-ბიჭები შეცქრიალდნენ... იყო თავგადაკლული ცეკვები, ნარნარი სიმღერები, ღიმილი და ტაში!..

კონცერტი რომ დამთავრდა, ხალხს გადავხედე: ყველა კმაყოფილი იყო, ყველას სახე უღიმოდა — კარგი ცვლა გვეზრდებაო. ეს მე ამოვიკითხე მათ სახეებზე, თორემ რომელიმე მეფოლადეს ხმამაღლა რომ ეთქვა „კარგი ცვლა გვეზრდებაო“, უსათუოდ ვიფიქრებდი — ორაზროვნად ამბობს-მეთქი (ისინი ხომ მართლა „ცვლით“ მუშაობენ!) და ეს იქნებოდა კეთილი, სერიოზული ხუმრობა!

---

ასე დამთავრდა თინიკოს „საქმიანი“ დღე! მაგრამ ჩვენ ახალი სიურპრიზი გველოდა: იმ დღეს თინიკოს დაბადების დღე ყოფილიყო.

უარი ვერ ვუთხარით, სახლში მივყევით... მივულოცეთ მას, დედამისსაც. დავლოცეთ კიდეც — ქალაქი და სოფელი, სწავლა და შრომა, ოჯახი და მამული!..

* * *

წადი, იარე, წითელყელსახვევიანო გოგონავ! იარე და გაიყოლიე სხვებიც. შენ ხომ ერთი არა ხარ — ათასი ხარ და ურიცხვი!.. წადით, იარეთ, — თქვენ ეს გზა აგიყვანთ იმ მზემდე დღეს რომ გიზგიზებდა რუსთავის ცაზე!



ყოველდღიურად ბავშვთა ხალისიანი ჟრიამულითაა სავსე რუსთავის პიონერთა სახლი... მღერიან, ცეკვავენ, ხატავენ, ძერწავენ ნორჩი პიონერები. აი, ისინი ახლაც ახალ სიმღერას სწავლობენ. და... რა სჯობს ადამიანის ყურებას, როცა ის მღერის...

ნიკო
კეცხოველი

მხატვარი
იური
კლიბაძე.

# ცხრათვალა მზის ქვეყ



## უდაბნო უდაბნო არა ყოფილა

სახელწოდება „გარეჯის უდაბნო", როგორც ჩანს, უფრო რელიგიური სახელწოდებაა. უდაბნოს ეძახდნენ ასკეტ ბერთა თავშესაფარს, ურწყულს, სადაც მზე ისე აცხუნებდა, რომ ლამის იწვოდა ყოველი. სამხრეთ საქართველოში, მაგალითად, არსად არ არის ბუნებრივი უდაბნო; მაგრამ, აი, რას წერს გიორგი მეორის დროის მემატიანე თურქთა შემოსევაზე: „და მასვე ერთსა დღესა დაწვეს ქუთაისი და არტანუჯი და **უდაბნონი კლარჯეთისანი...**", ესე იგი კლარჯეთის მონასტერნიო.

მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში, უდაბნო უნდა გავიგოთ, როგორც ბერთა თავშესაფარი.



გეოგრაფიულად უდაბნო არის უწყლო მხარე, ქვიშითა და ქვით დაფარული, სადაც ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე არ არის მცენარეულობა; სადაც ნალექები მეტად მცირეა (50-150 სმ წელიწადში) და ისიც წლის განმავლობაში არათანაბრადაა განაწილებული; ხშირად ზაფხული და შემოდგომა უწვიმარია, ტრიალებს ხვატის ალმური, არის განუწყვეტელი პაპანება, უბერავენ ცხელი ქარები და ქვიშის კორიანტელს აყენებენ, ადამიანს სუნთქვა ეკვრის, სული ეხუთება.

გარეჯის უდაბნოში კი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მცენარეულობითაა დაფარული, ხევებში და ჩრდილის მხრის ფერდობებზე ბუჩქები და ხეებიც გვხვდება. მართალია, ბალახეულობის და ბუჩქ-ხეების ნაწილი განსხვავდება საქართველოს სხვა ნაწილის მცენარეულობისაგან, მაგრამ უდაბნოსთან პირდაპირი, გენეტიკური კავშირი არა აქვს. არის წყაროებიც. ბევრი მათგანი მლაშეა, მაგრამ არის მტკნარიც და ძომლაშოც, რომელთა დალევა შეიძლება. წყაროდან წყარომდე რამდენიმე დღის სავალი როდია, როგორც უდაბნოში, ყველაზე შორი — რამდენიმე საათის სავალზეა.

ფერდოდან ზეგანზე რომ ავიდნენ, ჩვენი მოგზაურები, თითქოს უცბად ხული შეეკრათო, გატვრინდნენ: მთელი ზეგანი დაფარული იყო უცნაური მცენარით, რომლის ვერცხლისფერი თავთავი ნიავის ქროლვაზე ოდნავ ქანაობდა, — გეგონებოდა, სამხრეთიდან აღმოსავლეთისაკენ გარბისო.

„— რამ მოგკლა, უთანელაო?

— მზეკაბანთ ქანებამაო," — უპასუხა უთანელამ, რომელიც ყანის მკის შემდეგ ოფლში გახვითქული, ჩრდილში ისვენებდა, — წამოიწყო ძია პავლემ.

— რაო, რაო?

— მზეკაბანი — ნიავისა და ქარის მიერ ყანის ღელვაა. მკის დროს მზეკაბანი თუ ყანას უვლის და თავთაკი მკერდში სცემს მომკელს, ძნელია. აი, ახლა, ამ ვაციწვერასაც მზეკაბანი ურბენს. ხედავთ, როგორ ღელავს? თითქოს ტალღა ტალღას მისდევსო, — განაგრძობდა ძია პავლე.



მართლაც შესანიშნავი იყო ამ დროს ვაციწვერა. დასავლეთიდან ალმაცერი სხივები სცემდა, ნიავი სისინებდა და თავთავის გრძელსაფრენიანი ფხები აღმოსავლეთისაკენ იყო გაშვერილი, თითქოს აყრილა მთელი ველი და გარბისო. ამ „გაქცევამ" ბიჭებზე ისე იმოქმედა, რომ, მიუხედავად დაღლილობისა, ადგილიდან მოსწყდნენ და ვაციწვერას ულვაშივით გაჰყვნენ ნიავის ფრთებს.

როცა უკან შემობრუნდნენ, სახედრებისათვის ბარგი უკვე მოეხადნათ. გიორგი და შალვა ჩასჯდომოდნენ ვაციწვერიანს და იწერდნენ, ნიმუშებს იღებდნენ. ბიჭებიც სწრაფად ჩაებნენ მუშაობაში.

ვაციწვერა „ქუჩასა" ქმნის, რომელშიც შარშანდელი ღერო, ფოთოლი, ბუსნო

დასასრული. იხ. „პიონერი" № 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ არ დამპალა. „ქუჩის“ სიგანე 25-40 სანტიმეტრია. ბუსნოში ამოზრდილია მრავალი წვრილი ღერო და ფოთოლი. ღერო ხშირად 50-75 სმ სიგრძისაა, ზედ თავთავია და თავთავში მოთავსებული ყოველი ფხა გრძელი და წვრილი საფრენით ბოლოვდება· რაკი ფოთოლიცა და ღეროც წვრილია, მთელი მცენარე მზეკაბანს იქით მისდევს, საითკენაც ნიავი უბერავს. ამიტომაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მთელი ველი გარბისო. თესლი ფხიანად ვარდება თავთავიდან და ბუსუსიანი ფხის დახმარებით, ნიავს თუ ქარს შორს გადააქვს. ჩვენებური ვაციწვერას მარცვალი ისე მავნებელი არ არის, როგორც ამერიკული პრერიების ვაციწვერასი. როდესაც პრერიის ვაციწვერას მარცვალი პირუტყვის კანზე ხვდება, სიცხის დროს ფხა ჩაიხრახნება ხოლმე კანში და თანდათან ხვრეტს, ამიტომ. პრერიებში ნაძოვნი პირუტყვის ტყავი არ ფასობს,—იგი წყალს ატარებს.

მიწაში ჩათესვისათვის კი ეს „ხრახნი“ საუცხოო რამაა.

პავლემ და ვახტანგმა ორმოს თხრა დაიწყეს. ერეკლე მამას და შალვას ეშველებოდა. „ქუჩასა“ და „ქუჩას“ შორის დატოვებული სივრცე ამოვსებული იყო ველის წივანას უფრო პატარა „ქუჩებით“, კეწეწურათი, ველის კბილანა თივაქასრათი, მელისკუდათი... ღერომრავალ კობჩხილას, ლურჯ იონჯას, მზიურას, ქარქვეტას შორის კენარი ღერო მაღლა აეწია თავქუჩუჩა, თეთრ და ფაფუკ ყვავილედიან ქიფუნას. აქა-იქ ჩანდა, კახური საზეგველას სპილოს ძვლისფერი და რთული ესპარცეტის პირისფერი, ლამაზი ყვავილებიც. შიგადაშიგ მობნეული იყო შედარებით მაღალი და მოშაო ფოთლებიანი ძირტკბილა, ტანწერწეტა, მაღალი ქარის ქროლვაზე ოდნავ მოქანავე ტუბერიანი ჯინჭარა და შედარებით დაბალი, ტოტმრავალი, ვაციწვერებში კრუხივით ფრთებგაშლილი, პირისფერყვავილიანი, ეკლიანი ჯინჭარა. მიწაზე გართხმულიყვნენ ბეგქონდარა, ურცი, თეთრი ბამბიქულით შემოსილი ქარელა, ყვითელყვავილება მუზარადა; შორიახლო წამოწეულიყო მწყემსის გამხარებელი ფამფარა.

— „მწყემსმა თქვა, მენახირედ როცა დავდექი, ფამფარა მაშინ გაწყვაო“,—წამოიწყო ძია პავლემ, როცა გიორგიმ ფამფარა ქაღალდებსშუა მოაქცია.

— მე ასეც გამიგია: „ღმერთი მაშინ გამიწყრა, მინდორში ფამფარა როცა გაწყვაო“,—დაუმატა გიორგიმ.

— ეგრეცაა!

— აი, ესეც მეორე ფამფარა,—წამოიძახა შალვამ, როცა ბარულათი დღის სინათლეზე ამოაგდო თვის ბოლოკის მსგავსად გამსხვილებული ძირი. გაფცქვნა თუ არა, სუფთა ძირი რძით დაიფარა. ცოტა გემოთი ნახა და, „არა უშავს რაო“,—წაიდუდუნა. ბიჭებმაც მაშინვე გასინჯეს.

— მწყემსები ფოთოლსა ვჭამდით; ეს მეორე ფამფარაა. ეგრეთი გემრიელი ძირი თე᾿ოსაც აქვს,—თქვა ძია პავლემ და მიათვალიერ-მოათვალიერა იქაურობა. მალე იპოვა კიდეც პირისფერყვავილება თერო და ამოთხარა. შავ ფესვებზე რაძდენიმე მსხვილი, თხილისოდენა გორგლები ეკიდა.—მაჩიტას ძირი კიდევ უფრო გემრიელია, რძე იმასაც აქვს.

— გაჭირვება მიჩვენე და გზას გიჩვენებო,—განაგრძო ცოტა ხნის მერე ძია პავლემ.—ასეთ გაგანია დღეს მწყემსმა მარტომ რა აკეთოს? ირგვლივ ხმის გამცემი არავინა ჰყავს, არც ხილი აქვს; და აი, ეძებს, არჩევს და პოულობს საჭმელ ბალახებს.

— ასე ეძებდა ჩვენი შორეული წინაპარიც საკვებს,—თქვა გიორგიმ.—პირველად ადამიანმა პირუტყვის მოშენება დაიწყო. მინდორ-ველად საკვები ბალახების ძებნა და ამორჩევა მცენარეთა მოშინაურების სათავეა.

— უჰ, რა შავია ეს მიწა!—წამოიძახა ვახტანგმა.

— აი სწორედ ამას ეძახიან შავმიწა ნიადაგებს. ვაციწვერაც უფრო ხშირად სწორედ ასეთ ნიადაგებზეა. უფრო კი წაბლა ნიადაგებს ეტანება, თუმცა ისეთი გამძლეა, რომ ყოველნაირ ნიადაგზე შეხვდები.

— ეს რამდენნაირი ვაციწვერა ყოფილა?!—გაიკვირვა ერეკლემ, როდესაც დახედა შალვას მიერ ცალ-ცალკე ხელეულებად დალაგებულ სხვადასხვა ვაციწვერას, რომელნიც ჰერბარიუმისათვის დაემზადებინა და ახლა ეტიკეტებს წერდა.

— აი, ეს „შმიდტის ვაციწვერაა“,—ყველაზე ფართოდ გავრცელებული. შავმიწებზე უმთავრესად ეგ ქმნის ვაციწვერიან ველებს,—უხსნიდა შალვა ყმაწვილებს.—„შოვიცის ვაციწვერა“ კლდის ქსეროფიტებში გვხვდება. „ლამაზი ვაციწვერა“ შმიდტის ვაციწვერასთან არის აქა-იქ ჩათესლებული. „ბეწვიანი ვაციწვერა“ კი უფრო ხშირია შედარებით სუსტად გამოსახულ შავმიწა ნიადაგებზე. „იოანის ვაციწვერაც“ ხირხატიან ნიადაგებზეა; მასთან ერთად გვხვდება აგრეთვე „ბეწვიანი ვაციწვერა“, „ლესინგის ვაციწვერა“. სხვა მარცვლოვანებიდან აქ გავრცელებულია წივანა, კეწეწურა, ველის მელის-











კუდა. ნაირბალახეულობიდან გვხვდება ლამაზი მახათა, მიხაკი, გერმანული მზიურა, ქართული ფხეფლუსი, კობრჩხილა, ქარქვეტა, ლურჯი იონჯა, ბუნგეს გვლერძა, კახური საბეგველა, ურცი, ბეგქონდარა და სხვა მრავალი.

აქ, ამ პლატოებზე, ჩვეულებრივია ძალიან მშრალი, ტიპიური ქსეროფიტული ველიც; ამ ველში ნიადაგი, ჩვეულებრივ, ხირხატია, წვიმის წყლისაგან ადვილად იწრიტება. მარცვლოვანებიდან ვაციწვერებიც ჩნდებიან, ჩნდება უროც, კეწეწურაც. ნაირბალახეულობიდან კი ბევრია ბეგქონდარა, ურცი, მუზარადა, ქაფუნა, კობრჩხილა, ბეგიაური, მიწას გართხმული ისლი. გაზაფხულზე ველი თავისი სილამაზით არაფრით არ ჩამოუვარდება მაღალმთის მდელოს, ათასნაირი ფერით რომ კაცს თვალსა სჭრის. ვისაც ველი ამ დროს არ უნახავს, ის, რასაკვირველია, ვერ გაიგებს მის სიმშვენიერეს, ვერც იმ სურნელებას, რომელიც ამ დროს, განსაკუთრებით საღამო ხანს დგას,—თითქოს საკმეველს სწვავენ და ნაირ-ნაირ სურნელებას აკმევენო.



სამხრეთ ფერდობებზე, ხირხატიანებზე, იშვიათი არ არის წივანას მიერ შექმნილი ველი. ასეთ ადგილეში მძლავრობს ურცი, ბეგქონდარა, ქართული ესპარცეტი, მუზარადა... გვხვდება შუა აზიისა და ირანის ქსეროფიტების მცენარეებიც.

— ჩვენსკენ იქიდან მარტო დამპყრობლები კი არ მოდიოდნენ თურმე, არამედ ხრიოკის მცენარენიც,—თქვა ვახტანგმა.

— ჰოდა, მათ ტყის ზოლებით უნდა გადავუღობოთ გზა,—განაგრძო შალვამ.—იქ სადაც ფერდო ჩადაბლებულია და გრუნტის წყალი გამოდის, მდელოს მცენარეებიც იშვიათი არ არის. ასეთ ადგილებში ვიწროფოთლოვანი მარცვლოვნები აღარა ჩანს, ან თუ ჩანს, იშვიათად. გაბატონებულია ფართოფოთლოვანი მარცვლოვანები, მტრედისფერი ჭანგა, კაპუეტა ჭანგა, ციმბირული ჭანგა, ურო, შორაქნის ცოცხი, კეთილშობილი ფარსმანდუკი, პატარა ფარსმანდუკი, ფამფარა, იონჯა, კობრჩხილა, მოყვითალო მატიტელა და სხვანი.

ის იყო მცენარეთა ჩალაგება დაამთავრეს, რომ ბექობიდან სამი მხედარი ამოვიდა. შორიდან ვერ იცნეს, ვინ იყვნენ. როცა მოახლოვდნენ, გიორგის სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა. მოსულები მსწრაფლ ჩამოხდნენ, მოიხადეს ქუდები და გამარჯობა უსურვეს დამხდურებს.

— სად არა გნახავს კაცი, ბატონო გიორგი!

— მწევარი კურდღლის გზაზეო,—ჩაურთო სიტყვა პავლემ.

ყველას გაეღიმა. მოსულებმა ბიჭებს მაგრად ჩამოართვეს ხელი, შალვას ძველი ნაცნობებივით მიესალმნენ, პავლეს გაუღიმეს. ყველას თითო-ოროლა ტკბილი სიტყვა უთხრეს.

— რაზე გარჯილხარ, ლევან ჩემო, რას დადიხარ ამ ჩვენს უდაბნოში?

— კაპუეტა ჭანგას შალდამები მოვინიშნეთ, მალე შემოვა და თესლი გვინდა შევაგროვოთ, ზოგიერთ გავერანებულ საძოვარში გვინდა შევთესოთ...

— ეგ მართლა კარგი საქმეა. აგერ, ბექის გადაღმა ხომ ნახეთ?

— იქიდან ამოვიარეთ სწორედ. ორი-სამი კვირის შემდეგ კაკაბეთელები ჩამოვლენ და შეაგროვებენ.



ახალმოსულები ცხენებზე შესხდნენ და ყარაიის ველისაკენ ჩაუყვნენ. შალვამ განაგრძო:

— ზოგან ეს მდელო კაპუეტა ჭანგასაგანაა შექმნილი და, მასთან ერთად ხშირად მტრედისფერი ჭანგაც გვხვდება. მაგრამ ეს ჭანგა უფრო ხშირად მშრალ და მლაშე ადგილებზე იცის, მეიერის აბზინდასთან ერთად. ამ ადგილებში, ამათ გარდა, იშვიათი არ არის ურო, ლესინგის ვაციწვერა, იონჯა, მცირე ციურა და მშრალი ადგილების სხვა მცენარენი. არ დაგავიწყდეთ: ველი ორჯერ ისვენებს—ზაფხულში და ზამთარში. ამით განსხვავდება იგი მდელოსაგან. დაიღალეთ?

— აჰ, არა. მაგრამ ბუჩქები?—იკითხეს ბიჭებმა.

— ბუჩქები ხომ დოდოს რქის ძირას ვნახეთ, ხევებში.

— მაგრამ ნათლიცემის ქედზე ხომ ხეებიც იყო?

— იყო. ხევის ძირებში გვხვდება თელა, აკაკის ხე, ფშატი, საკმლის ხე. მაგრამ ეს მხარე მაინც ბალახის მხარეა. ძირს, ვაკეებზე, მლაშობები სჭარბობს, ზეგნებზე ველებია—ვაციწვერასი, უროსი, წივანასი. ბუჩქებიც არის, მაგრამ ძირითადად—მაინც მშრალი ადგილების ბუჩქები: ღვიები, ჯორის ძუა გრძელმუხლა და მაღალი, ჯაგრცხილა, კვრინჩხი, კუნელი, ქართული კოწახური, ლეღვი, ხორციფერა, ჟასმინი, მენახირის ბალი, უძრახელი, ფუჭფუჭა, თრიმლი, თუთუბო, ქართული ცხრატყავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რა ვქნა, ე ძეძვი რას გავიწყდება!—გაიღიმა ძია პავლემ.

— მე რომ დავივიწყო, ის არ დამავიწყებს თავს. ძეძვიანები ველების ფარგლებში ყველაზე მეტია მთის წინა კალთებზე. საკმარისია ტყეს ნირი შეუშალო, უთავბოლოდ გაჩეხო, საქონელი შეუშვა და... ძეძვიც წამოსკუპდება.

— ნეტა ვარგოდეს რამეთა, —არ იშლიდა ძია პავლე.— ერთი ეგაა, ღობედაა კარგი.

„მინდორში ბაღი ვაშენე,
ღობე შევავლე ჯალჯითაო".



ჯალჯი სწორედ ძეძვის და სხვა ეკლიანების კონაა. ძეძვი დიდი მტერია ცხვრისა. როდესაც ცხვარი ძეძვიანში შედის, ნახევარი მატყლი ეკალზე რჩება, ცხვარი ილევრება.

მიდიოდნენ და მისაუბრობდნენ იმდღევანდელი დღით კმაყოფილნი.

მხარმარცხნივ დარჩა უდაბნოს მონასტერი.

— პავლე ძია, შენ შენი ქარავნით აღდგომის ტაძართან შეგვიცადე, სუფრაც იქ გაშალე, — თქვა გიორგიმ.

უკვე კარგა დაღლილი იყვნენ, როდესაც ქედზე ავიდნენ. აღდგომის ტაძარს კაი ჩრდილი გაეშალა, სადაც ძია პავლეს სუფრა გაეწყო.



საღამოვდებოდა. ცა ათასნაირი უცხო ფერით იმოსებოდა; ლურჯი, იისფერი, წითელი, ზანგელა, სოსანი ერთმანეთში იყო შერეული. იყო რაღაც უცნაური შეხამება ფერთა, უცნაური სიჩუმე, სიწყნარე... ალბათ ასეთი სიჩუმე იყო იმ დროს, როცა ეს მხარე პირველად ამოჩნდა ზღვის ფსკერიდან.

ყელა გარინდებული გასცქეროდა ხან აღმოსავლეთსა და ხან დასავლეთს.

— კაცო, ცაში ყურება გეყოფათ? მოდით, შენაყრდით ცოტაოდენი,—შეუძახა პავლემ.

ფერდოს ჩაჰყვნენ და ლავრის ეზოში ორი თუ სამი საბარგო მანქანა დაინახეს.

ხალხიც ირეოდა ზემო ეზოში.



— გარეჯის უდაბნო უდაბნო არა ყოფილა!—თქვა ერეკლემ.

— ჰო, უფრო ველია, რომელსაც ორი შესვენება აქვს: ზამთარში— დიდი ყინვების გამო, ზაფხულში— დიდი სიცხეების გამო. გაზაფხულზე ჰყვავის, რაც ასაყვავებელია, მწვანედ ღაღანებს. დადგება ცხელი ზაფხული და მცენარე თითქოს იძინებს, ელის უკეთეს დროს. ხოლო შემოდგომის პირას, როცა წვიმები იწყება, ველი კვლავ იღვიძებს,—დალაგებით, უფროსის კილოთი წამოიწყო ვახტანგმა.

— ეგ საიდანღა იცი?—ჰკითხა გიორგიმ.

— შენს წიგნში წავიკითხე!



— გარეჯში ბევრია ფრიად საინტერესო მცენარე. მარტო გარეჯში იზრდება კბილა თივაქასრა და გარეჯული სალბი. ესენი საქართველოს ენდემებიც არიან და გარეჯისაც. ჩვენში მარტო გარეჯში იზრდება არალ-კასპიის ოლქის ელემენტები—ჰალიმადენდრონი. საქართველოს და ამიერკავკასიის ენდემებიდან იზრდება ფომინის ზღარბა, სტევენის ფეოპაპუსი—ლამაზ ყვავილიანი, რთულყვავილოვანი, თურქესტანის ელემენტი რქიანი ზუედა და სხვა მრავალი.

ჰალიმადენდრონი, ზუედა და სხვა მისთანანი რომ აქ იზრდებიან, არ არის კარგის ნიშანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი აღმოსავლეთი ნაწილი შუა აზიის ცხელი ქარების დიდი გავლენის ქვეშაა მოქცეული და, თუ ამას დაემატა ადამიანის უდიერი დამოკიდებულება ტყისადმი და, საერთოდ, ბუნებისადმი, უაზრო, მიზანშეუწონელი ჩეხვა ტყისა,— ეს კარს უფრო ფართოდ გაუხსნის ხრიოკთა და უდაბნოთა მცენარეებს; ჩამოხრიოკდებიან ჩვენი ლამაზი მთების ფერდონი, უდაბნოდ გადაიქცევიან, მოისპობა ბაღიც და ვენახიც, პლანტაციებიც, სახნავიც და, უამათოდ რაღად ევარგება ჩვენი ქვეყანა!

— უნდა შევანელოთ ეს გავლენა.

— ამისთვის კი ტყის ზოლები უნდა გავაშენოთ,—ჩაურთეს ბიჭებმა.— რა ჯიშებია კარგი?



— აი, ჩვენ ხომ ვნახეთ თელა, აკაკის ხე, კუნელი, საკმლის ხე, ღვია, თუთუბო, ფშატი. თავ-თავის ადგილას ესენიც გამოიყენება, ამათ დაემატება ისეთებიც, რომელნიც ასეთ ადგილებშია ნაცადი.

— იშრიალებენ ტყეები...

— დასახლდებიან ჩიტები.

— ჩიტებს კი ვახტანგი დააფრენს!—გაიცინა ერეკლემ და მამისაკენ გადახტა.



**ნანა ქავთარაძე**

# მუსიკა



ალბათ, ხშირად შეგიმჩნევიათ, როგორ მიმართავს ადამიანი მუსიკას უგუნებო განწყობილების გასაქარვებლად, ან, უბრალოდ, გასამხიარულებლად, თავშესაქცევად. ამგვარი სახის მუსიკას გასართობს უწოდებენ და მას ვისმენთ ხოლმე ლხინში, ზეიმზე, ქორწილსა თუ ძეობაში. პროფესიულ მუსიკაში სპეციალური ჟანრებიც კი არსებობს: სხვადასხვა სახის ჯაზი, საესტრადო მუსიკა, საცეკვაო მელოდიები და სხვ. მაგრამ მუსიკა არა მარტო გართობასთანაა დაკავშირებული, არამედ იგი შრომის, ბრძოლის, გლოვის, ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა მოვლენების მონაწილეც ხდება. მუსიკას ხომ შეუძლია გამოხატოს ადამიანის არა მარტო აზრები, ფიქრები, მიზნები, არამედ. ყოველგვარი განცდებიც: სიცილი, ტირილი, გულისწყრომა, შემართება, შური, სიკეთე, გმირობა, სიმხდალე, სიყვარული, სიძულვილი და ა. შ. აი, ამიტომ, ხელოვნების სხვა დარგებისაგან განსხვავებით, მუსიკა ყველაზე უფრო მეტად მონაწილეობს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასახავს ამ ცხოვრების ტონს, ერის ხასიათს, თვისებებსა და მისწრაფებებს. შემთხვევითი არ არის, რომ ხალხურ მუსიკას ერის სულიერი ცხოვრების სარკეს უწოდებენ.

ადამიანი შრომამ შექმნა და მუსიკის წარმოშობასაც ამ პროცესს უკავშირებენ. მუშაობის დროს მუსიკის მკვეთრი რიტმი და ომახიანი ხასიათის მელოდია ადამიანებს შრომის ხალისსა და ენერგიას მატებს. საქართველოში დღესაც ხმოვანებს მამაპაპური შრომის სიმღერები, დაკავშირებულნი ხვნასთან, მკასთან, თიბვასთან. ასეთებია უძველესი ხალხური სიმღერები: „ნადური“, „ხელხვავი“, „გუთნური“, „ოდოია“, „მთიბლური“ და სხვ. შრომის სიმღერების გარდა, საქართველოში, ისევე როგორც სხვა ხალხებში, არსებობს სხვადასხვა წესჩვეულებებთან დაკავშირებული სიმღერები. ბავშვის გაზრდის პროცესს თან სდევს „იავ-ნანას“ ტიპის სიმღერები. ასეთი „ნანები“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარია და მათი მელოდიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგალითად, ხევსურეთში შესრულებული „ნანა“ განსხვავდება ამავე სახის მეგრული და ქართლ-კახური სიმღერებისაგან.

ასევე მრავალფეროვანია ჩვენში ქორწილის რიტუალთან დაკავშირებული სიმღერები. „მაყრული“, „სუფრული“. „მრავალჟამიერი“ იმდენნაირია, რამდენი კუთხეც არსებობს საქართველოში. ალბათ გინახავთ ქართული კინოფილმი „ხევისბერი გოჩა“, რომლის მუსიკა ეკუთვნის რ. ლაღიძეს. ამ ფილმში საკმაოდ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ქორწილის რიტუალი, რომელიც საქართველოს მთიან მხარეში — ხევშია მიღებული. ამიტომ, კომპოზიტორმა ლაღიძემ მაყრულის სიმღერის ინტონაციური წყობა მთის მუსიკალურ ფოლკლორს დაუკავშირა. სრულიად სხვა ხასიათისაა ქორწილის სცენა ზაქარია ფალიაშვილის ოპერაში „აბესალომ და ეთერი“, სადაც ქართლ-კახური ინტონაციების განზოგადება ხდება.

მუსიკას გლოვის ჟამსაც შევხვდებით. ეს მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია საქართველოში დღესაც გრძელდება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულია სიმღერით დატირება, ე. წ. ხმით ტირილი, მოთქმით ტირილი, დათვლით ტირილი და სხვ. მაგრამ სიმღერით ტირილის სახე ხევსურეთში სხვაგვარია, ვიდრე, მაგალითად, სამეგრელოში ან სვანური „ზარი“.

მუსიკას ბრძოლებშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში მრავლადაა მოცემული საქართველოს ომების აღწერა, რომლის დროსაც სპეციალური მებუკენი და მედაფდაფენი საბრძოლო-საგანგაშო მელოდიებს ასრულებდნენ. გავიხსენოთ თუნდაც „ვეფხისტყაოსანი“ — ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და ომის ეპიზოდი:

დილასა შევჯექ, ვუბრძანე: „ჰკარით
ბუკსა და ნობასა!“.
სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ
შესასხდომლად მზობასა;
ლომმან მივმართე ხატაეთს, ვერვინ
მიზრახავს მხდლობასა;
უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, არ
გაივლიდეს გზობასა.

ასეთივე ეპიზოდი შეიძლება გაიხსენოთ კინოფილმიდან „გიორგი სააკაძე“, კერძოდ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სპარსელებსა და ქართველებს შორის, როცა დიდი მოურავი ბრძანებს — მუსიკოსებმა დაუკრან რუსული მელოდიებიო; ან ბოროდინოზე ბრძოლის ეპიზოდი კინოფილმიდან „ომი და მშვიდობა“. დაბოლოს, გავიხსენოთ ქართული ჭიდაობის დიდი ტრადიცია, როცა ზურნა-დუდუკი და დოლი კიდევ უფრო მეტ ტემპერამენტსა და შემართებას ჰგვრის ფალავნებს.

ამგვარად, მუსიკა ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა მომენტთანაა დაკავშირებული და ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ზემოქმედების ძალაც უაღრესად მრავალფეროვანია და ძლიერი. მაგრამ მუსიკის ყველაზე დიდი მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი ადამიანთა ურთიერთობაში უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ უ რ ე ნ ა დ იქცა. დღეს ხშირია შემთხვევა, როცა ერთმანეთს ხვდებიან სრულიად სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, რომლებსაც არ ესმით ურთიერთისა, მაგრამ სურთ ერთ მისწრაფებაზე, ერთ სურვილზე — მშვიდობაზე, მეგობრობაზე, სოლიდარობაზე ლაპარაკი და ისინი ამ მისწრაფებებს გამოხატავენ ყველასათვის გასაგები ენით — მუსიკით.

მუსიკის უნივერსალურმა ძალამ სხვადასხვა ეროვნების დიდი კომპოზიტორები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, დიდი ჰუმანისტები და ერის ინტერესების გამომხატველნი იყვნენ, საერთაშორისო მოვლენად აქცია. ასე მაგალითად, ბეთჰოვენი, ბახი, შოპენი, ვერდი, მუსორგსკი, პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი უპირველეს ყოვლისა თავიანთი ერის მაღალი კულტურის მატარებელი ხელოვანები არიან, მაგრამ, ამავე დროს, მათი შემოქმედება ზოგადსაკაცობრიო, საერთაშორისო მნიშვნელობისაა თავისი ღრმა იდეურობის, მაღალი ეთიკურობისა და დიდი ესთეტიური ღირსებების გამო. ვერდი და შოპენი სრულიად განსხვავებული კომპოზიტორები არიან, მაგრამ ორივეს აერთიანებს ერთი ნიშანი — ერის მტკივნეული საკითხების გადაჭრაში მაღალი პატრიოტული სულისკვეთების გადმოცემა. თავისუფლებისმოყვარეობა და სამშობლოს სიყვარული შოპენმა პოლონური ინტონაციებით გადმოსცა, ხოლო ვერდიმ — იტალიური ხალხური მელოდიისათვის დამახასიათებელი მღერადობით. შოპენის პოლონეზებს „ყვავილებში ჩაფლულ ზარბაზნებს“ უწოდებენ, ხოლო ვერდის პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე მთელი რიგი საოპერო ეპიზოდები იტალიაში საბრძოლო მოწოდებად გაისმოდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ასეთი სპექტაკლები პოლიციის. ჩარევით მთავრდებოდა ხოლმე. შემთხვევითი არაა, რომ ვერდისადმი იტალიელი ხალხის უდიდესი სიყვარული დღეს არა მარტო მისი მელოდიების უკვდავყოფით გამოიხატება, არამედ იმითაც, რომ ვერდის სახე სახელმწიფო ფულის ნიშანზეა გამოკვეთილი.

ხშირად ყოფილა ამა თუ იმ ერის ისტორიაში ისეთი მომენტები, როდესაც მუსიკალურ ნაწარმოებს გასროლილ ყუმბარაზე უფრო ძლიერი ძალა ჰქონია. ასეთი იყო თავისუფლებისმოყვარე რევოლუციურ საფრანგეთში შექმნილი სიმღერა, რომელიც შემდგომ საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნად იქცა. ალბათ მიხვდით, რომ ლაპარაკია „მარსელიოზაზე“, რომლის მუსიკა და ტექსტი ეკუთვნის ქალაქ მარსელის მცხოვრებს რუჟე დე ლილს. „მარსელიოზა“ მან დაწერა 1792 წლის 25 აპრილს და თავდაპირველად „მარსელელების მარში“ ეწოდებოდა. ამგვარივე რევოლუციურ-პროლეტარული სიმღერა — „ვარშავიანკა“ შეიქმნა პოლონეთში 1883 წელს. საქართველოში, კერძოდ, თელავში, რევოლუციური აღმავლობის პერიოდში შეიქმნა სიმღერა ქართული კლასიკური საგუნდო მუსიკის ფუძემდებლის, კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის მიერ, რომელსაც ხალხმა „თელავიეზა“ უწოდა. ამგვარივე ხასიათისაა კომუნისტური პარტიის ჰიმნი „ინტერნაციონალი“, რომელიც 1888 წელს შეიქმნა საფრანგეთში. „ინტერნაციონალის“ სიტყვები ეკუთვნის პოეტ კომუნისტს ეჟენ პოტიეს, ხოლო მუსიკა — პიერ დეგეიტერს.

დღევანდელ პიონერებსაც ხომ გაქვთ უამრავი სიმღერა, დაკავშირებული სხვადასხვა დღესასწაულთან, პიონერულ ცხოვრებასთან, საზაფხულო პიონერულ ბანაკთან, რაზმის მუშაობასთან, სპორტულ შეჯიბრებებთან, კარგ სწავლასთან და ა. შ.

გასართობი მუსიკა არ მოითხოვს დაფიქრებას, მსმენელში არ წამოჭრის სხვადასხვა კითხვებს, არ იწვევს გარკვეულ მღელვარებას. მისგან განსხვავებით, ე. წ. „სერიოზული მუსიკა“ ყოველთვის აღძრავს მსმენელში ზემოაღნიშნულ განცდებს, რადგან მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც ამ ჟანრს მიეკუთვნებიან, დაკავშირებულნი არიან გარკვეულ შინაარსთან, მხატვრულ სახეებთან, კომპოზიტორის განცდებთან, რომლებიც მან ბგერებში გამოხატა. რაგინდ მცირე ფორმის არ უნდა იყოს მუსიკალური ნაწარმოები, მას ყოველთვის უდევს საფუძვლად რაიმე თემა, განწყობილება, განცდა. ნაწარმოები კომპოზიტორის ფიქრის, განცდების მოზღვავების შედეგად იბადება.

მუსიკალურ ნაწარმოებს ძალიან ხშირად საფუძვლად ედება რაიმე ლიტერატურული ნაწარმოები. ასე მაგალითად, შალვა მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენას“ საფუძვლად დაედო კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების ისტორიული რომანი, ხოლო ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიას“ — ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელი“. საბავშვო ოპერა „ქაჯანა“ მერი დავითაშვილმა შექმნა ნ. ლომოურის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. ხშირია შემთხვევა, როდესაც ნაწარმოებს საფუძვლად ედება ზღაპარიც. მაგალითად, პროკოფიევმა სიმფონიური ორკესტრისათვის დაწერა ზღაპარი „პეტრე და მგელი“, რომელიც პიონერის გაბედულებასა და შეუპოვრობაზე მოგვითხრობს. პროკოფიევს ძალიან უყვარდა პატარებისათვის წერა და იცოდა, რისი მოსმენა სურდათ მათ. ბავშვთა სამყაროს უძღვნა მან საფორტეპიანო პიესების ციკლი, რომელსაც „ბებიას ზღაპრები“ უწოდა.

თანამედროვე ცხოვრებამ ადამიანთა წინაშე ყველაზე მძაფრად დააყენა მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხი. ეს თემა განსაკუთრებული ძალით აჟღერდა საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებაში, განსაკუთრებით, შოსტაკოვიჩის სიმფონიებში.

ამრიგად, მუსიკა ადამიანს ესაუბრება ცხოვრების მნიშვნელოვან, საჭირბოროტო საკითხებზე. მუსიკა — მარტო გართობა როდია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ახალგაზრდა მწერლის მირონ ხერგიანის მოთხრობამ „თეთრი სახურავები", 1965 წელს გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში დაბეჭდვის რეკომენდაცია მიიღო. უახლოეს ხანში იგი ცალკე წიგნად გამოვა.**

**ვბეჭდავთ ამ მოთხრობის ნაწყვეტს.**

# თეთრი სახურავები

მირონ ხერგიანი

მხატვარი ზურაბ კაპანაძე.

Ერთ საღამოს ტატაში თავიანთ ნასახლარს ეწვია.

რაღაც ოციოდე წლის წინათ მამის აშენებული კედლები მიწასთან იყო გასწორებული. წვიმის წყალს კირი გამოეფიტა, ერთიანად დაეშალა. ნაცარივით იყო მიწაზე მიმობნეული.

ბიჭი დიდხანს იჯდა ნანგრევებზე.

თავი ხელებში ჩაერგო. თვალები ახორავებულ ქვისათვის მიეშტერებინა.

ეს ქვა მამამისის მოზიდული იყო. ახლა მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. ქვები თითქოს ერთმანეთზე დაწყობა-დალაგებას ემუდარებოდნენ.

ბიჭს ტანში ჟრუანტელივით უვლიდა ამ მიწაზე გართხმული, დამლილი კედლების ღაღადი. მას არ შეეძლო შველა, ჯერჯერობით არ შეეძლო. გულს უკლავდა ნასახლარზე გამეფებული ცივი და სევდიანი მდუმარება.

იჯდა ერთხანს გარინდებული. მერე რაღაც გზნებამ მოიცვა. რომელიღაც ძარღვი გაუკრთა და მძლავრად შეუტოკა სხეული.

იგი ხმამაღლა ეხმიანებოდა ნანგრევებს:

— მოვა დრო და ისევ აღიმართებიან კედლები... იმ ძველზე მაგარი კედლები... საძირკველში გამოჟონილი წყაროს წყალი ველარ შეურყევს ფუძეს... მოვა დრო...

ნანგრევებიდან ღამურების ჭყიპინი მოისმა.

გზაზე ვიღაცამ ჩამოიარა. ღამურების ჭყიპინზე სამჯერ გადააფურთხა, პირჯვარი გადაიწერა და ჩაიბურტყუნა:

— თფუ, ეშმაკს... თფუი ეშმაკს... ღმერთო, დამიცავი ავი თვალისაგან...

ტატაშმა ანთუყის ხმა შეიცნო. უნებურად გაეღიმა.

„რა აქვს ავი თვალისაგან დასაცავი?"

„ან ვინ უყურებს ავი თვალით?"

„ღამურები?!"

„მათ ხომ თვალები არა აქვთ".

ბიჭი ეზოს გალავნიდან გზაზე ჩამოხტა და სახლისაკენ გასწია.

მალე ჰაწვალის მთიდან მთვარემაც ამოყო თავი. გულმართლად მოაბნია სხივები, კოშკებისა და მაჩვიბების გამოსახულებანი ორღობეებში გააწვინა.

მთვარე... ბედნიერებასავით სრული და მრგვალი, მხიარული ადამიანის თვალებივით სხივოსანი და სახემცინარი.

მოსახვევიდან გამოვარდნილი სიო, უხილავი და უსახო, ღამის მნათობის დახატულ გლუვწახნაგა საგნებს იდუმალი ხმით უმღეროდა ნანას, ალერსით იოხებდა გულს.

სიო ბიჭსაც ესალბუნებოდა სახეზე. ბიჭსაც და მის ჩრდილსაც.

მერე ელექტრონით გაჩახჩახებული სახლიდან გამოსულმა სინათლემ ჩრდილი მხარზე მოიგდო, ააყირავა და საპირისპირო მხარეს ლავაშივით გააკრა მიწას.

ტატაში სახლში შევიდა. უხმოდ გაიხადა და დაწვა. ხვალ დილაუთენია უნდა ამდგარიყო და მთის ბილიკებს შესდგომოდა. ხვალიდან იწყებოდა მისი მწყემსური ცხოვრება.

●

ბექობზე იჯდა.

ჩამავალ მზის სხივებზე ცას შერჩენილი ღრუბლის ნაფლეთები წითლად ანათებდნენ და შეზარხოშებული ადამიანის თვალებით იხედებოდნენ.

ქვევით, ჩახისა და ფოშდელის ტბებს სუნთქვა შეეკრათ, გატრუნულიყვნენ, თეთრად ლაპლაპებდნენ,— თითქოს საგანგებოდ ჩაედგა ვიღაცას ამ ზურმუხტოვან მთებში, რომ ეს გორაკიანი საძოვრები გაელამაზებინა, დაემშვენებინა.

საქონელი საღამოს სიგრილეს გრძნობდა. უხეში ღრუნჩებით კოცნიდა და ეალერსებოდა ბალახსა და მიწას. ტატაშს მოეჩვენა, რომ ეს ძროხები და ხარები ამ მთების გაგრძელებას წარმოადგენდნენ, ცოცხალ გაგრძელებას, მის მოძრავ ნაწილს, და მწვანით შემოსილი გორაკები და ბორცვები ფოშდელზე გაბნეული საქონლის თვალებით იყურებოდნენ.

ტატაშმა ისევ ღრუბლებს ახედა.

„მათ არც სიცილი შეუძლიათ, არც გაღიმება. მაგრამ მზის სხივები აცინებენ. მზე იმსგავსებს ღრუბლებს, ჟღინთავს თავისი სხივებით და იმსგავსებს... ყოველი საგანი ერთმანეთთან რაღაც უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული..."

ქვევიდან გაბმული სტვენა მოისმა.

სოფლელი მწყემსები იყვნენ. ლენჯეშის ტბაში ებანავათ და ახლა შინ ბრუნდებოდნენ.

ტატაში მათკენ შეტრიალდა.

— ნახ-ვამ-დიის! — უყვიროდნენ ქვევიდან.

ტატაშმა ხელი დაუქნია:

— ნახ-ვამ-დიის!

მწყემსებმა ჩაიარეს.

ბიჭმა ხეობებს შორის გაწოლილ სოფლებს მოავლო თვალი. ისინი ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებულიყვნენ. გეგონებოდა, წყურვილის მოსაკლავად ენგურთან მისულან და თავიანთი გრძელი და უმოძრაო ყელები მისკენ გაუწვდიათო.

ცოტა უფრო მაღლა, კოშკების თავზე, კვამლისფერი ღრუბელი იდგა. ადგილიდან არ იძვროდა. კარგ ამინდში ყოველთვის ასე მოჩანდა ხოლმე.

„ქვევიდან რომ უყურებ, რატომ მაშინ არ მოჩანს ეს მუქი, მოცისფრო სარტყელი? იქნებ რაღაც მოჩვენებაა, ფერთა თამაშია. ალბათ, კარგად რომ დააკვირდე, შეიძლება დაბლიდანაც დაინახო, მაგრამ მისი ფერი, როგორც ჩანს, ცის ფერს ერწყმის და ძნელი გასარჩევია, იკარგება..."

. მესტიის „არწივის გადასახედი" ეფარებოდა.

ტატაშმა თვალები მოჭუტა. მთა



წუთით მოსწყვიტა დედამიწას, ზევით აზიდა და ცას მიაჯაჭვა. ახლა ნათლად წამოისვეტნენ მესტიის კონტურები, კოშკები და ახალსახურავიანი სახლები. ისინი ერთმანეთზე მიჯრილიყვნენ, სკებივით შეფენილიყვნენ ფერდობზე. სახურავების გაბმული, ქათქათა ზოლი რაღაც გაურკვეველი იეროგლიფივით მოჩანდა. თითქოს ვიღაც ყოვლისშემძლეს დაეწესებინოს შენობების ასეთი განლაგება... მაგრამ ტატაშმა აღმოაჩინა, რომ იმ ყოვლისშემძლეს შეცდომა დაუშვია:

იქ, შუა უბანში, ოქროსფრად მბზინავ სახურავებს შორის, შავ ლაქად მოჩანდა სახლის ნანგრევები.

„იმ სახლმა რა დააშავა?“

„იქაც უნდა ჩაიდგას სახლი, დიდი, ფართოფანჯრებიანი და ახალსახურავიანი სახლი. განა ამით რამე დაშავდება? პირიქით, უფრო შეივსება ფერები, გაქრება ნგრევისა და სიკვდილის ლაქა... ჰო, მამის მოზიდული ქვები ერთმანეთზე დაეწყობიან, ამაღლდებიან, ზევიდან ამაყად გადახედავენ ქვეყანას, მის სილამაზესა და ლაზათს“.

ჩათინის სიომ საქონლის ბღავილის ხმა მოიტანა.

ტატაში ფიქრებიდან გამოერკვა. გამოფხიზლდა.

ცაზე მიჯაჭვული „არწივის გადასახედი“ ფრთხილად ჩამოხსნა და თავის პირვანდელ ადგილზე დააბრუნა. მერე ქარის ანაბარად მიტოვებულ მეხანძრეების კოშკს დაადგა თვალი.

„რა საჭიროა ეს კოშკი? ჩემი ნება რომ იყოს, დავანგრევდი. ამცირებს და თანაც აუშნოებს გადასახედს“.

საღამოვდებოდა.

საქონლის თავმოყრის დრო იყო.

ირგვლივ მიმოფანტულ ძროხებს შეეხმიანა. დაბლობზე ჩარეკა. ერთად მოუყარა თავი. მეწინავე ბუღა ფერმისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა. დანარჩენებიც უკან გაჰყვნენ.

მიკუნტრუშობდნენ, მიბღაოდნენ.

ტატაში უკან მიჰყვებოდა. საქონელს კარგად გატარებული დღის შემდეგ უხაროდა შინ დაბრუნება. იქ ხომ დივოლი და ნინუცა მარილსაც დაახვედრებდნენ.

ბიჭსაც უხაროდა რაღაცა.

მერე, თითქოს მდუღარე გადაასხესო, შეკრთა, სახე მოეღრუბლა.

ტატაშს ეფთი მოაგონდა, სეტში საქვეყნოდ **რომ სცემა ტყუილ-უბრალოდ**.

გასაშრობი სარეცხივით გადმოკიდული ღრუბლის ნაფლეთები აღარ იცინოდნენ, აღარ ჰგავდნენ მზისაგან გარუჯულ ბავშვებს, ბაღში საჰაერო ბურთებით რომ ერთობიან. მუქლურჯ ცაზე თავიანთი ჩვეულებრივი სახე მიეღოთ, ხოლო ჩრდილოეთით, თოვლიანი მწვერვალების მხრიდან, შავი, საავდრო ღრუბლები იჭვრიტებოდნენ.

ისინი აპირებდნენ ტირილს. იქნება, ტიროდნენ კიდეც...

•

ტატაშმა თოფი კლდის ქიმზე გადო. თვითონ თავისივე ამოთხრილ სახუნდარში ჩაჯდა, გაიტრუნა. შურთხები დასავლეთიდან ამოჰყვებოდნენ ხოლმე ლეგვმერისა და ქორულდის გამყოფ ქედს.

კარგი სანახავი იყო ქედზე ჩამწკრივებული შურთხების გუნდი; რაღაცით აქლემების ქარავანს მოგაგონებდათ. სვენებ-სვენებით მოჰყვებოდნენ „უდაბნოს“.

სასროლ მანძილზე რომ მოაღწევდნენ, ყველაზე დიდს ამოიღებდა მიზანში. ლამაზად აფოფრილი, მაღალ ფეხებზე შემდგარი შურთხი თითქოს ხვდებოდა მის ზრახვებს, მაინცდამაინც სამიზნე ადგილთან გადაუხვევდა, ქედს მიეფარებოდა და სადღაც ზევით ამოყოფდა თავს. მერე ისევ განაგრძობდა გზას.

ტატაშს გული მოსდიოდა. რამდენჯერმე ესროლა კიდეც, მაგრამ ძალიან შორს იყო და ააცდინა.

სხვები თითქოს არ არსებობდნენ; იმ დიდის ინტერესი ჰქონდა. ცოტა ზევით რომ ჩასაფრებოდა, შეიძლება რამე გამოსვლოდა, მაგრამ ისეთი გაშიშვლებული ადგილები იყო, თავს ვერსად შეაფარებდა კაცი.

ჭოგრიტი მოიმარჯვა, ახლო ფერდობები შეათვალიერა; ვერაფერი შენიშნა, ვერც ხმა გაიგონა.

„დღეს აგვიანებენ რატომღაც ალბათ წუხანდელი წვიმის ბრალია“.

გაგონილი ჰქონდა, წვიმა ძილს უფრთხობს ფრთოსნებს და მეორე დღეს გვიან იღვიძებენო.

„იქნებ მართლაც ასეა“.

იჯდა და ელოდა.

დედაზე ფიქრობდა.

სახლში მისი ახალგაზრდობის სურათი ჰკიდია: ნაწნავებიანი, პირმოცინარი გოგო თაფლისფერი თვალებით იხედება წითელი ჩარჩოდან. დედამისი: შავებში, დამწუხრებული და მტირალი. აი, როგორი ახსოვს. ერთმანეთს ადარებს ხოლმე მახსოვრობას შემორჩენილ და სურათიდან გადმომზირალ ახალგაზრდობისდროინდელ სახეებს.

უკვირს:

ნუთუ ეს ორი ქალი ერთი და იგივე ადამიანია? ისინი არაფრით არ ჰგვანან ერთმანეთს ... არაფრით. იქნებ მესურათის ბრალია? — რაღაცა გამოაკლო. ან, შეიძლება მეხსიერება ღალატობს და ის, ვისი სახეც ახსოვს, დედამისი კი არა, ვიღაც უცნობი ნათესავთაგანი იყო.

ხშირად უყურებს დედის სურათს და ფიქრობს:

„რატომ შეწყდა ასე ნაადრევად მისი სიცილი? ნუთუ ისეთი სუსტი გული ჰქონდა, რომ ოცდახუთი წლისას უმტყუნა და სამუდამოდ დაადუმა? ... მამა... მამა...“

მამა სულ არ ახსოვდა ტატაშს. წლინახევრისა ყოფილა, მამა რომ წასულა... და აღარც დაბრუნებულა მერე.

ჩრდილოეთისაკენ გაიხედა.

ამ გადასასვლელს შესწირა თაბექმა თავი; მესტიის გადასასვლელს.

ქვევით, ხეობაში გაწოლილი მყინვარი შეათვალიერა. ბევრი ცოცხალი გული ჩაიხუტა ამ მყინვარმა. მისი დახეთქილი ნაპრალები ახლაც სიკვდილის თვალებით იხედებიან. იქნებ მამამისიც აქ მარხია სადმე.

გასულ წელს ის და გიერგი ერთ ადგილას ნიშს წააწყდნენ. გიერგი კოლმეურნეოების მწყემსი იყო. სამოცდაათ წელს გადაცილებული. გაჭაღარავებული კაცი. შარშან ტატაშმა შეცვალა იგი. ვიდრე შინ დაბრუნდებოდა, მთელი კვირა დაჰყვებოდა ახალბედა მწყემსს, ასწავლიდა კარგ საძოვარ ადგილებსა და მწყემსების წესსა და ადათს.

მოზვინულ ქვებს შორის დამპალი, ფორმადაკარგული ქალამნისა თუ ნაჭრის ნაფლეთები ნახეს. ქვებზე რაღაც ლაქები შენიშნეს.

„სისხლი... სისხლი...“ — გაუელვა ტატაშს თავში.

გიერგმაც დაუმოწმა. მას მერე ერთხელაც არ დაეჭვებულა, რომ ის ქვები ადამიანის სისხლით იყო შეღებილი.

გიერგმა სვანური, მატყლის ქუდი მოიხადა თავიდან და, როგორც მკვდრების საფლავთან სჩვევიათ ხოლმე, დამწუხრებული და სევდიანი სახე მიიღო.

— ომი... ომი... — ბუტბუტებდა თავისთვის გიერგი. დაკოჟრილი თითები დამსკდარ ტუჩზე მიედო. ამ წუთში იმ მოსწავლეს ჰგავდა, გაკვეთილი რომ არ იცის და მხოლოდ სათაურს იმეორებს.

ტატაშს უკვირდა მოხუცის ქცევა და გაოცებული შესცქეროდა.

გიერგმა უცებ თავი ასწია, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, საქონლით მოფენილ ფერდობებზე მოატარა მზერა და თქვა:

— აი, ეს ხარები, ძროხები, და თხები, ყველა სულიერი არსება, ასე რომ ალამაზებს და აცოცხლებს ჩვენს მთებს, ამ მიწას, გორაკებს, მთელი ეს ქარავანი სულ ჩარეკეს დაბლა... გაშიშვლებული და დახხრიოკებული მთები მარტოდმარტო დარჩნენ — ბომბების გრუხუნთან, ქართან და მზესთან...

მართალია, ხიშტი არ მჭერია ხელში... მაგრამ მეც განვიცადე ომი... ასე განვიცადე...

ეს რომ თქვა, გაჩუმდა. დიდხანს დუმდა. რაღაცაზე ფიქრობდა. მერე კვლავ განაგრძო:

— ომმა ყველას აურია ცხოვრება... მეც ჩამიფუშა გეგმები...

რა გეგმები უნდა ჰქონიდა გიერგს? — ფიქრობდა ტატაში. — ომის დროს ასე ორმოცდაათი წლის მაინც იქნებოდა, თუ მეტის არა. ნუთუ მანამდე ვერ შეძლო იმ გეგმების განხორციელება? ან იქნებ გეგმებიც დღეებთან ერთად იბადებიან და არავითარი კავშირი არა აქვთ ხნოვანებასთან?

— ტრუ... ტრუუუ! — გაისმა სტვენა.

ბიჭმა ყურები ცქვიტა და მოემზადა.

შურთხები ჯარისკაცებივით მოუჯვებოდნენ ბექობს. დიდი წინ მოუძღოდათ. მისი მაღალი ფეხები მაშინვე იცნო ტატაშმა. იმწამსვე ამოიღო მიზანში, სასხლეტი გამოსწია.

— წუუო... წუუუო... — გაიწუილა ტყვიამ.

რამდენიმე ღერი ბუმბული ჰაერში აფარფატდა: ქარმა ბიჭისაკენ გამოიტაცა.

— ტრუ... ტრუუუ! — დაიძახა შურთხმა და უშბისპირა კლდეებისაკენ მოუსვა. მას სხვებიც მიჰყვნენ.

„დაიჭრა! მგონი დაიჭრა, ისე მიქანაობს!“

..შურთხი იქვე თუ არ მოკვდა, მერე თავს უშველის; როგორი დჭრილიც უნდა იყოს, მაინც უშველის. დაჭრილი შურთხის სიკვდილი იშვიათად რომ ვინმეს ენახოს. მით უმეტეს, მსუბუქად დაჭრილისა...“ — კვლავ ალაპარაკდა მოხუცი გიერგი.

გუნება წაუხდა.

რამდენიმე ხანს გაუნძრევლად იწვა; თავი ხელებში ჩაერგო და ბურანში დაცურავდა, თითქოს თვითონ იყო ფრინველი, ბურუსში მოხვედრილიყო და თავი ვეღარ დაეღწია. მერე იქითკენ გაიხედა, წეღან შურთხი რომ იდგა. გაახსენდა მისი მოქნილი ტანი, მაღალი ფეხები... ფაცის კანჭებივით მაღალი. ბიჭს მოეწონა ეს შედარება — ფაცი თითქოს მართლაც ჰგავდა რაღაცით... ის შურთხი ფაცი იყო. მხოლოდ მისი გულისათვის წვალობდა ამდენს: უთენია ამოვიდა ამ სიმაღლეზე და სამი საათი იწვა ნაწვიმარ სახუნდარში.

წამოდგა.

ზევითკენ წაჩანჩალდა. უკან დაბრუნების თავი არ ჰქონდა. უკან დაბრუნებას ხეტიალი ერჩია.

ცუდ გუნებაზე იყო:

„ვერ იქნა და ის დიდი შურთხი ვერ ჩაიგდო ხელში“.

„ბედი რომ არ გაგიმართლებს კაცს, ესაა“, — ფიქრობდა თავისთავის ტატაში.

სალომე ხშირად ჩიოდა ხოლმე თავის უბედობაზე. ტატშს არ მოსწონდა მისი წუწუნი. ახლა კი თვითონ წუწუნებს... ნეტავი როგორ არის სალომე?

მყივნარამდე თოვლიანი ფერდობი იყო გასავლელი; თოვლი წვიმას გაელლო და მუხლებამდე ეფლობოდა. კლდიდან ჩამომწყდარ ლოდზე ჩამოისვენა; ჭოგრიტი აიღო და საჯიხვეებს მიაყენა. აქედან კარგად მოჩანდა სალოკი კლდეები და მყავეწყლები... ჯიხვებს ახლომახლო კლდეებზე უყვარდათ გადმოდგომა. ტატაშს ბევრჯერ დაუნახავს მათი ქანდაკებად ქცეული ტანი.

დღეს რაღაც არ ჩანდნენ.

დილით, რომ ამოდიოდა, ხმაური შემოესმა: კარგად ვერ გაარჩია, ზვავის ხმა იყო თუ თოფისა.

„იმ ხმაურმა თუ დააფრთხო და ყაბარდოში გადავიდნენ...“

წამოდგა. გზა განაგრძო.

მყინვარი სადღაც ქვევით იწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა და უშბისა და ჩათინის მწვერვალებს ებჯინებოდა.

„მსოფლიოს ყველა მწვერვალი მყინვარით იწყება. მთამსვლელმა ჯერ ეს სიკვდილმობნეული გზა უნდა გაიაროს, მერე კი კლდესთან მართებს ვაჟკაცური ჭიდილი. თუ ორივეგან გაიმარჯვა, მხოლოდ მაშინ შეიძლება მწვერვალზე შედგომა და სიცილი...“ — გაახსენდა ტატუშს ბიჭიკოს ნათქვამი.

ბიჭიკოს ბიძა მსოფლიოში ცნობილი მთამსვლელი იყო და გულით უნდოდა ძმისწულიც გაჰყოლოდა კუთხის ამ ვაჟკაცურ ტრადიციას.

— ხუთ წელში თუ არ დამწევიხარ, თვალით არ დამენახო... — ხშირად ეტყოდა ხოლმე ბიჭიკოს...

ტატაშმა დასავლეთისაკენ გადაწვერილ მზეს ახედა. წასვლის დრო იყო. უცებ, მყინვარის მხრიდან თოფის ხმა მოისმა. თოფის გრგვინვამ ყრუანტელივით დაუარა კლდეებსა და მყინვარებს; გვიან მიწყდა.

ჰოგრიტი მოიმარჯვა.

იქითა მხარეს კლდის ქიმზე აკრული დენთის ბოლქვები შენიშნა. მალე ბოლქვები გაიფანტა და მყინვარისა და კლდის საზღვართან მწოლარე ადამიანი დაინახა: ხელებს იქნევდა, შველას თხოულობდა.

„ვინ უნდა იყოს?“

ადგილზე გაქვავდა.

სისხლი თავში აუვარდა; გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

სასწრაფოდ გადავიდა იქითკენ. საზარელი სურათი ნახა:

უზარმაზარი სხეული კლდის ნატეხივით უძრავად ეგდო. ცალი ფეხი გვერდზე გაეშვირა. დაჭრილს ხელში თოფი ჩაებღუჯა. ასეთ თოფს პირველად ხედავდა ტატაში.

იქვე ყელგამოღადრულ ჯიხვს თვალები გადმოეკარკლა და ლილისფერ ზეცას შესჩხოვდა შველას.

ბიჭის სხეული თრთოლვამ აიტანა. „ხომ გახსოვს?!“ — ჩასძახოდა ვიღაცის შორეული ხმა.

აღარ იცოდა, რა მოემოქმედა.

ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. მყინვარზე სისხლის ზოლი მიიკლაკნებოდა. გული აერია.

„იქნებ მკვდარიცაა უკვე...“ — გაუელვა თავში. თითქოს რაღაცამ უბიძგა, ნაბიჯი გადადგა. მიუახლოვდა. დასწვდა. მაჯა გაუსინჯა. უცემდა. „კიდევ კარგი... კიდევ კარგი, ცოცხალია“. — გაიფიქრა უნებურად.

ადამიანისა და ჯიხვის სისხლი ერთმანეთში არეულიყო. მათი წითელი ბურთულაკები მოციგურავეებივით ერთიმეორის გვერდით მისრიალებდნენ თეთრ მყინვარზე. თოვლის გაქვავებული მასა ვერ არჩევდა მათ ერთმანეთისაგან, ორივეს ერთნაირი სიამოვნებით წრუპავდა.

„კიდევ კარგი, კიდევ კარგი...“ — იმეორებდა ბიჭი.

შორეული ძახილი, წეღან რომ ჩაესმოდა, მიწყდა.

გულაღმა შემოაბრუნა; სისხლი მოსწმინდა.

„კარგის გაკეთებაა საქმე, თორემ ცუდს რა ბევრი რამ უნდა“, — გუნებაში გაეპასუხა იმ შორეულ ხმას.

კაცი ბარძაყში იყო დაჭრილი. სისხლი მოსდიოდა. სახეზე მკვდრისფერი ედო.

„ალბათ კლდიდან გადმოვარდა, სხვა რა უნდა მოსვლოდა ...“

ახლა მთავარი სისხლისდენის შეჩერება იყო. სულ დაიცლებოდა, მერე კი ველარაფერი უშველიდა. ყინულის ნატეხი დაადო. მერე ჭრილობა თავის პერანგის ნახევით მაგრად შეუხვია.

ეფთიმ თვალები გაახილა, ტატაშს მიაშტერა და რაღაც გაუგებრად ჩაიბუტბუტა. ტატაშს რატომღაც მოეჩვენა, რომ ეფთიმ მას „ლაწირაკი“ უწოდა. მართალია, გაგონებით არ გაუგონია, მაგრამ რატომღაც ასე მოეჩვენა..

ქვემოდან გაუტარა ხელი... დიდის ვაი-ვაგლახით წამოაყენა. ზურგი შეუდგა. ტყვიასავით მძიმე სხეული სულთამხუთავივით დააწვა. შეეშინდა:

„ამას მარხილიც ვერ დასძრავს...“

მზე უშბის წვერებს ადგა. საცაა, ჩავიდოდა.

ბიჭმა მთელი ძალა მოიკრიბა. მყინვარზე გადასვლას მთელი საათი მოუნდა. ძლივს მიბარბაცებდა, თანქვადქცეული ადამიანის დაუძლურებულ სხეულს მიათრევდა. ძალიან უჭირდა, მაგრამ რა უნდა ექნა, ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ იყო. დროის დაკარგვა კი წამითაც არ შეიძლებოდა. ნაპრალებს გვერდს უქცევდა. ოფლში იყო გაღვრილი. თვალებშიც ოფლი შეუვიდა და ეწვოდა. საშინლად სცხელოდა, თითქოს საკირეში შეაგდესო.

ნაპირზე რომ გააღწია, დაისვენა; გულმკერდი გაიღეღა, გრილ ნიავს მიუშვირა.

ეფთი კვნესოდა.

ტატაშს უკვირდა, რომ ეს უხეში, რკინასავით მაგარი კაცი ასე საწყალობლად ოხრავდა და კვნესოდა.



„უჭირს... ძალიან უჭირს...“

მარჯვენა ფეხი რაღაც უცნაურად მოღუნვოდა. დააკვირდა. მოტეხილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰქონდა. ძვალი გარეთ გამოშვერილიყო. ბიჭს ძვლის დანახვაზე ტანში გააჟრჟოლა.

„როგორ ვერ შევნიშნე? ..“

კვლავ ჩასჭიდა ხელი. ნახევრად მხარზე მოიგდო. ახლა იგი აშკარად გრძნობდა, როგორ უყანყალებდა დაჭრილს ცალი ფეხი.

უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ როგორმე სამშვიდობოზე გასულიყო.

„ჩქარა... ჩქარა! ..“

ძლივს მიითრევდა ფეხს, ძლივს მიბაჯცალებდა.

„ცოტა ხანს კიდევ გამაგრდი...“

სახიდან და ტანიდან ოხშივარი ასდიოდა. თვალები ნაღვერდალივით უხურდა;

როგორც იქნა, თოვლი უკან მოიტოვა. საზერველივით ქშინავდა და ხიხინებდა; მალე ხველებაც დააწყებინა. ფილტვებში თითქოს ნემსებს ურჭობდნენ, ციებიანივით ცახცახებდა. შიშმა შეიპყრო: „ალბათ სადგომამდე ვერ ჩავაღწევთ“.

შიში უფრო და უფრო ეუფლებოდა. სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ვის დაუძახოს? ახლომახლო არავინ იყო; ვის რა უნდოდა აქ ასე გვიან, ასე შორს...

დაჭრილის მიტოვება მაინც არ უფიქრია.

მალე ბლოტვაზე გადავიდა.

„როგორმე ზექრამდე... ზექრამდე! ... საქონელი... რა ეშველება?... სილო... სილო უნდა ამოსულიყო... კიდევ კარგი...“

იდუმალებით მოცული საღამოს ჩამუქებულ ცის კაბადონზე ცისფერი, ფართო თვალები გამოიკვეთა. თვალები ანგელოზისას ჰგავდნენ. დაბლა-დაბლა ეშვებოდნენ. აი, სულ ქვემოთ ჩამოვიდნენ. ხელი რომ გაეწვდინა, შეეხებოდა კიდეც, ისე ახლოს იყვნენ.

ეფთის ხროტინმა დააფრთხო ისინი. თვალებმა ფრთები აიკეცეს და გაუჩინარდნენ.

ახლა ორივე ერთნაირად კვნესოდა.

ადგილიდან ვერ იძროდნენ.

კვლავ გამოჩნდნენ თვალები.

„ცოტაც და, სახლში იქნები... ცოტა...“ — უღიმოდნენ ისინი.

ბიჭს იმედი მიეცა. წამოიწია... ერთი ნაბიჯი... ორი... მესამე ნაბიჯიც მოუნაცვლა. მერე მეოთხეც... თავბრუ დაეხვა. ცაზე გამოკვეთილი თვალები გაუფერულდნენ, შეერწყნენ ბნელი ცის იდუმალებას...

ტატაშს ეგონა, სამუდამოდ დავკარგეო, მაგრამ შეცდა. კვლავ დაინახა... ის თვალები დაინახა... ფართო, ცისფერი თვალები... უღიმოდნენ... წამოდგა...

მათ ზექრის კარამდე მიიყვანეს ბიჭი...

ზღურბლზე უგრძნობლად მიეგდო.

ქალების კივილი და სილოს ღრიალი არ გაუგონია. არაფერი არ გაუგონია.

მალე სილო ცხენს მოახტა და ღამის სიბნელეში გაუჩინარდა. სოფლისაკენ მიჰქროდა, თან მძიმე ტვირთად მიათრევდა სამწუხრო ამბავს.

●

შუადღისას ჩამოაღწიეს

ბიჭს სიცხე ჰქონდა და მთელი გზა ბოდავდა.

ეფთი წინა ცხენზე მოეთავსებინათ. გაფითრებულიყო და თვალები გადმოკარკლოდა. ახალგაზრდა ქერათმიანი ექიმი თეთრ ცხენზე იჯდა; შემხვედურთა შეკითხვებზე დუმილს ამჯობინებდა.

— გადარჩება? რას იტყვით?

— ბიჭს მაინც რა მოუვიდა? — კითხულობდა ხალხი.

ფაცი ტიროდა. ლოყებს იკაწრავდა. — მამაჩემთან მიმიშვითო, — ემუდარებოდა თანასოფლელებს.

ლილიმაც მოირბინა. ერთი წივილ-კივილი ატეხა... მთელი სოფელი მწუხარებამ მოიცვა.

— დღე და ღამ ნადირობა ვის გაუგონია?.. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, — თქვა უკმაყოფილოდ ვიღაცამ.

— ბიძამისის ბედი ეწია მაგასაც, ბიძამისის!...

— ის ბიჭი მეცოდება... მოუკლავს თავი და ეგ არი!

— სალოკი კლდეებიდან უთრევია!

— როგორ შეძლო, საოცარია პირდაპირ!

ტატაშმა თითქოს იგრძნო თავიანთ ნასახლართან მიახლოება. თვალები გაახილა. მოეჩვენა, თითქოს ეზოში ვიღაცეებს მოეყარათ თავი; ფუსფუსებდნენ და რაღაცას საქმიანობდნენ. ვინ არიან ესენი? მათ შორის ჯექეც იყო. ჯანყვათი და ილარიონიც იქნო. სხვებიც იყვნენ... აქეთ რომ მორბის, ვილაა? ..

მალე სასწრაფო დახმარების მანქანა გამოჩნდა, ერთი შეჰკივლა და პატარა მოედანთან გაჩერდა.

ტატაში და ეფთი ცხენებიდან მანქანაში გადაიყვანეს.

ეზოში მომუშავე ხალხი ქუჩაში გამოეფინა. კირიანი წინსაფრები სალებავჩამორეცხილ აფიშებს უგავდათ.

ილარიონი განმარტოებით იდგა და ქალივით ქვითინებდა:

— ვისთვის მერე... ვისთვის. ამ თაღლითის გულისათვის იკლავდა თავს? სხვა რომ არაფერი, სეტის ამბავი მაინც არ ახსოვდა?!.

მასთან ჯანყვათი მივიდა, თანაგრძნობის ნიშნად მხარზე დაადო ხელი.

მალე მანქანა ისევ აკივლდა და სოფლის ორღობეებში გაუჩინარდა.

ქუჩაში გამოფენილი მუშები უკან შებრუნდნენ.

ჯექემ უბიდან ნახაზი ამოიღო და ინჟინერივით გაშალა.

●

საავადმყოფოს ფანჯრიდან ფუსნატვიბის დაკლაკნილი ბილიკი მოჩანდა. იგი მაღლა, არწივის მთისაკენ მიიწევდა და მიწისა და ცის გასაყართან მთავრდებოდა. მეხანძრეთა კოშკი აქედან უზარმაზარი, ზღაპრული ადამიანის ჩონჩხს ჰგავდა და აშკარად აუშნოებდა გადასახედს.

„ნეტავი დაანგრევდეს ვინმე!“ — ფიქრობდა ბიჭი.

„რომ წამოვდგები, დავანგრევ, აუცილებლად დავანგრევ...“

უკვე მომჯობინდა. ექიმმა უთხრა, ორ-სამ დღეში ფეხზე წამოდგებიო.

ერთ დღეს საავადმყოფოს ჯანყვათი მოადგა კარზე თავისი გუნდის წევრებიანად, არ მოისვენა, სანამ ყველა არ შემოაშვებინა. ეს არ იკმარა, ცარიელი საწოლები მისწი-მოსწია და ოთარს სთხოვა, დოლი დაუკარიო.

დოლის ხმაზე საავადმყოფოს თანამშრომლები ქათმებივით აკრიახდნენ, აქეთ-იქით ეცნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს ამბავი უფროს ექიმს აცნობეს; მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ვისაც სიარული შეეძლო, კარებს მოადგა, მძიმე ავადმყოფებმა თავები წამოსწიეს და კმაყოფილების ნიშნად იღიმებოდნენ.

რაიავადმყოფოს უფროსმა ექიმმა, პირქუშმა კაცმა, ექთანების გასაკვირად დოინჯი შემოიყარა და სახეგაბადრული უსმენდა „კონცერტს“. თანამშრომლებმა რომ დაინახეს, უფროსი ექიმი იღიმებაო, ჟვითონაც დამშვიდნენ და ინტერესით შეჰყურებდნენ უცხო სტუმრებს.

ბოლოს ექიმმა ხელი ჩამოართვა ჯანყვათს. ამან კიდევ უფრო მეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაამხიარულა სტუმრებიცა და მასპინძლებიც.

— კონცერტი საავადმყოფოში. . . კარგა ქღერს ღმერთმანი. საინტერესოა, ექიმო, როგორ იმოქმედა დოლის პარტყუნმა დავრდომილ ორგანიზმზე? — სიცილით თქვა ჯანყვათმა.

ყველა კარგ გუნებაზე იყო. იცინოდნენ. ტატაშიც იცინოდა. ამხანაგებმა გადატანილი გაჭირვება გადაავიწყეს. თითქმის მთელი კლასი აქ იყო. მხოლოდ ფაცი აკლდა, მაგრამ ამაზე არავის არაფერი უთქვამს.

ბიჭიკო წინდღით ჩამოსულიყო ბანაკიდან. ამხანაგების წასვლის მერე დარჩა და ბევრი ილაპარაკეს. არც ერთს არ უნდოდა ფიცის ხსენება; მყინვარზე გაბნეული ნაპრალებივით უვლიდნენ გვერდს. მერე ბიჭიკოც წავიდა.

ფანჯარაში ახალი საღამო შემოიჭრა. კოშკები, ძველი და ახალი სახლები, არწივის გადასახედისაკენ მიმავალი ბილიკი—ყველაფერი თავის იდუმალ კალთებში გახვია.

ტკბილად ჩაეძინა. სიზმარი ნახა...

თოფი ქიმზე გაედო. იმ დიდი შურთხის გამოჩენას ელოდა. აი, ისიც. პირდაპირ ამოუყვა ქედს. არ გადაუხვევია; სულ ახლოს, რამდენიმე მეტრზე ჩაუარა. ბიჭმა მიზანში ამოიღო და ჩახმახი გამოსწია. დარწმუნებული იყო, მოარტყამდა, მაგრამ... თოფი ცარიელი აღმოჩნდა. სწრაფად გატენა, კვლავ შეაყენა და დაუმიზნა. უმტყუნა. რამდენჯერაც შეაყენა, იმდენჯერ უმტყუნა. პირდაპირ გასაოცარი იყო...

დიდი შურთხი თავზე მოექცა ბექობს, მერე ფრთა ფრთას შემოჰკრა. გამარჯვების ნიშნად „ციიო... ციიო...“ დაუსტვინა ხმამაღლა, უშბისა და ჩანთის მწვერვალებს გადაევლო და თვალს მიეფარა. დიდს უკან სხვებიც მიყვნენ.

— „ტრუ... ტრუ... ტრუ...“ —აყრუებდნენ შურთხები მიდამოს.

გამოეღვიძა. რიჟრაჟი იდგა.

მოწმენდილი ცა ლილისფერი ბრეზენტივით გადმომხობოდა დედამიწას; ამინდი კვლავ ცხელ დღეს უქადდა ნათესებსა და მეორედ მოსათიბ მინდვრებს. სოფლის თავზე დარაჯივით გადმომდგარი ფუსდის ეკლესია თეთრად მოჩანდა. აი, ეკლესიის ეზოდან ვიღაცა გამოძუნძულდა, წელში მოხრილი, მოკაკული, პირჯვრის წერით აუყვა მთისაკენ მიმავალ ბილიკს...

ტატაშს ეცნაურა იმ კაცის სიარული და სახეზე ღიმილმა გადაურბინა: „სჯერა... სჯერა და ვერაფერი გადაარწმუნებს...“

ოთახში ექიმები შემოვიდნენ. საგულდაგულოდ გასინჯეს ავადმყოფი და ღიმილით გავიდნენ გარეთ.

მერე ლილიმ შემოაღო კარი; ხელში შეფუთული რაღაც ეჭირა.

— თუ გამოიცნობ, ვინ მოვიდა?— შეეკითხა ტატაშს.

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

დივოლი იყო. მორცხვად შემოვიდა ოთახში. ხელში ყვავილების კონა ჩაებღუჯა. კარგახნის დუმილის შემდეგ ძლივს დაილაპარაკა:

— ნინუცამ მოგიკითხა...

— როგორ არის ნინუცა? მეც მომენატრა.

— ვერ ჩამოვიდა...

— სილო რას შვრება? ხომ არ მოიწყინა?..

— სილოც კარგად არის; სილომაც მოგიკითხა...

— რა თქვეს ექიმებმა? — ჩაერია საუბარში ლილი.

— არაფერი ისეთი.

— ზურაბი ბოლო გამოცდაზე ჩაჭრილა, — თქვა ლილიმ. — გუშინ დაურეკიათ.

დივოლს ბავშვური, გულუბრყვილო სახე დაეძაბა. მას სურდა, ტატაშისათვის სულერთი ყოფილიყო ზურაბის ამბავი. ძალიან სურდა.

— არა უშავს... გაისად ჩააბარებს. —თქვა ტატაშმა.

დივოლმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— აი ეს რადიომიმღები მამამ გამოგიგზავნა. ისევ მთაში ჰგონიხარ, არაფერი იცის...

— ამას დივოლი აიტანს...

ტატაშმა ტანთ ჩაიცვა და ლოგინიდან წამოდგა. თავბრუ დაეხვა. წაბარბაცდა, მაგრამ ლილი და დივოლი აქეთ-იქით ამოუდგნენ.სამივენი ეზოში გავიდნენ.

ჭიშკართან შეჩერდნენ, ტატაშმა სოფელს გადახედა. შავ ლაქას ეძებდა. დიდი ხნის წინათ გაჩენილ შავ ლაქას, მაგრამ ვერ იპოვა... ნანგრევების ადგილზე ახლად ამოყვანილი კედლები აღმართულიყო. კედლებში ფანჯრებიც დაეტანებინათ, ჩვეულებრივზე დიდი ფანჯრები. მხოლოდ ეს იყო, სახურავი აკლდა, თეთრი სახურავი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცეკვე, გოგონა!

**ჩარლი ჩაპლინის წერილი მის ქალიშვილ ჯერალდინასადმი.**

ჩემო გოგონა! ახლა ღამეა. ჩემი პატარა ციხე-სიმაგრის ყველა შეუიარაღებელ მეომარს სძინავს. სძინავთ შენს და-ძმებს. დედაშენსაც კი დაეძინა.

შენ შორსა ხარ ჩემგან! მაგრამ თვალთ დამიბნელდეს თუ შენი სახე სულ თვალწინ არ მედგას... შენი პორტრეტი აგერ დევს, მაგიდაზე, გულთან ახლოს. შენ კი ამ დროს სადა ხარ? შენ ზღაპრულ პარიზში ცეკვავ, ელისეს მინდვრების თეატრის დიდებულ სცენაზე. მე ვიცი ეს, მაგრამ მეჩვენება, თითქოს ღამის სიჩუმეში ისმის შენი ნაბიჯების ხმა, ვხედავ შენს გაბრწყინებულ თვალებს, ზამთრის ცაზე ანთებული ვარსკვლავებივით რომ ციმციმებენ. მეჩვენება, თითქოს საზეიმო და ნათელ სპექტაკლში შენ ასრულებ თათართა ხანის მიერ დატყვევებული მზეთუნახავის როლს.

იყავი ლამაზი და იცეკვე!

იყავი ვარსკვლავი და იკაშკაშე! მაგრამ თუ ხალხის აღფრთოვანება და მადლობა თავბრუს დაგახვევს, თუ შენდამი მოძღვნილი ყვავილების სურნელი გაგაბრუებს, მაშინ მიჯექი სადმე კუთხეში და წაიკითხე მამაშენის წერილი — მოუსმინე ჩემს ხმას!

მე მამა ვარ შენი, ჟერალდინა!

მე ჩარლი ვარ, ჩარლი ჩაპლინი!

იცი შენ, რამდენი ღამე გამითენებია თეთრად შენს სასთუმალთან! სულ პაწაწა, რომ იყავი, ზღაპრებს გიყვებოდი — მძინარე მზეთუნახავზე, ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპზე... და როცა ჩემს ბებერ თვალებს ძილი მოერეოდა ხოლმე, მე დავცინოდი მას და ვეუბნებოდი: „განვედ ჩემგან, მე ჩემი გოგონას ოცნებებს ვხედავ!" დიახ, მე ვხედავდი შენს ოცნებებს, ჟერალდინა, ვხედავდი შენს მომავალს, შენს დღევანდელ დღეს! მე ვხედავდი ცაში მოფარფატე ფერიასავით სცენაზე მოცეკვავე გოგონას და მესმოდა, მაყურებლებში რომ ლაპარაკობდნენ: „ხედავთ ამ გოგონას? იგი ბებერი მასხარას შვილია — გახსოვთ, ჩარლი რომ ერქვა?"

დიახ, მე ჩარლი ვარ! მე ბებერი მასხარა ვარ. დღეს შენი ჯერია. იცეკვე! მე ჩაფართხუნებული, დახეული შარვლით ვცეკვავდი, შენ კი მეფის ასულის სამოსელში ცეკვავ. ეს ცეკვა და ტაშის გრიალი შენ ხანდახან ცაში აგიტაცებს. იფრინე! სულ მაღლა-მაღლა იფრინე! მაგრამ მიწაზეც დაეშვი ხოლმე. შენ უნდა იხილო ადამიანთა ცხოვრება, უნდა იხილო ქუჩის მოცეკვავეთა ცხოვრება, — რომლებიც ცეკვავენ და კრთიან სიცივისა და შიმშილისაგან. მეც მაგ დღეში ვიყავი, ჟერალდინა! იმ ღამეებს, იმ ჯადოსნურ ღამეებს, როცა ზღაპრებით გაძინებდი, თეთრად ვათენებდი ხოლმე. დავცქეროდი შენს სახეს და მესმოდა, როგორ ძგერდა შენი პატარა გული. და ჩემს თავს ვეკითხებოდი: „ჩარლი! ნუთუ ეს ცინდალი ოდესმე გაგიგებს შენ?" შენ მე ვერ გამიგე, ვერ შემიცანი, ჟერალდინა... იმ ღამეებში ბევრ ზღაპრებს გიყვებოდი, მაგრამ მე შენთვის ჩემი ზღაპარი არ მომიყოლია... არადა, ესეც საინტერესო ზღაპარია, ზღაპარი მშიერ მასხარაზე, ლონდონის ღარიბ უბნებში რომ ცეკვავდა და მღეროდა. მერე კი... ხელგაშვერილი ითხოვდა მოწყალებას... აი, ასეთია ჩემი ზღაპარი! მე გამოვცადე შიმშილი, მე ვიცი, რაა უსახლკარობა! კიდევ მეტი — მე განმიცდია მოხეტიალე მასხარის დამცირება და ტკივილი, ამიკრეფია შემოწირული გროშები. ეს მაშინ, როცა ჩემს გულში ხიამაყის ოკეანე ბობოქრობდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც ცოცხალი ვარ, ცოცხლებზე კი, ჩვეულებრივ, ცოტას ლაპარაკობენ. შენ ჩემს გვარს ატარებ, ჩაპლინი ხარ! ორმოც წელზე მეტ ხანს აცინებდა ეს გვარი ადამიანებს. მე კი, ჩემო ჟერალდინა, უფრო მეტჯერ ვტიროდი, ვიდრე ისინი იცინოდნენ. ქვეყანაზე, სადაც შენ ცხოვრობ, მარტო ცეკვა და მუსიკა როდი არსებობს!..

შუაღამით, როცა გამოდიხარ უზარმაზარ დარბაზიდან, დაივიწყე შენი მდიდარი თაყვანისმცემლები, მაგრამ არ დაგავიწყდეს — გამოკითხო ტაქსის მძღოლს მისი მეუღლის ამბავი... თუ ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს და იმისი ფული არა აქვთ, რომ ბავშვისთვის სახვევები მოიმარაგონ — ჩაუდე ფული ჯიბეში დაუთვლელად. მე ბანკში ნათქვამი მაქვს, გადაგიხადონ ეს ხარჯები. მაგრამ იცოდე, სხვებს ზუსტად გადაუხადე ხოლმე! დროდადრო დაათვალიერე ქალაქი, იარე ფეხით ან ავტობუსით. დააკვირდი ხალხს! ქვრივ-ობლებს დააკვირდი, და დღეში ერთხელ მაინც უთხარი შენს თავს: „მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი იმათგანი ვარ!“ დიახ, შენ ერთი იმათგანი ხარ, ჩემო გოგონა! მეტსაც გეტყვი: ხელოვნება ვიდრე ადამიანს ცად ასაფრენ ფრთებს შეასხამდეს, მანამდე, როგორც წესი, ფეხებს მოამტვრევს ხოლმე. თუ მოვა დრო და შენ ზევიდან დახედავ ხალხს, დაუყოვნებლივ ჩამოდი სცენიდან და პარიზის გარეუბნებს მიაშურე. მე კარგად ვიცნობ იქაურობას. იქ შენ ნახავ ისეთსავე მოცეკვავე ქალებს, როგორიც შენა ხარ, კიდევ უფრო ლამაზებს და ამაყებსაც. პროჟექტორების შუქი იქ არავის არ სჭირდება. მათი თეატრის პროჟექტორი — მთვარეა! დააკვირდი, კარგად დააკვირდი! ხომ არ ცეკვავენ ისინი შენზე კარგად? აღიარე, აღიარე ჩემო გოგონა. ყოველთვის შეხვდები ისეთ ვინმეს, ვინც შენზე კარგად იცეკვებს, შენზე კარგად ითამაშებს! გახსოვდეს, ჩარლის ოჯახში არავინ არ ყოფილა ისეთი, მეეტლე, ან სენის ნაპირას მჯდარი მათხოვარი რომ დაემცირებინოს!..

მე მოვკვდები, შენ კი იცოცხლებ... მე მინდა, შენ არასოდეს არ გამოსცადო სიღარიბე. ამ წერილთან ერთად გიგზავნი ბანკის ქვითარს — რამდენიც გინდა იმდენი ხარჯე! ოღონდ, როცა დახარჯავ ორ ფრანკს, შენს თავს უთხარი — მესამე ფრანკი ჩემი არ არის-თქო. იგი იმ უცნობ, გაჭირვებულ ადამიანს ეკუთვნის, რომელსაც შენ იოლად იპოვი. ოღონდ გინდოდეს თორემ, ამ უცნობ, ღატაკ ადამიანებს შენ ყველგან აღმოაჩენ. მე ფული იმიტომ ვახსენე, რომ ძალიან კარგად ვიცი ამ ეშმას მაცდუნებელი ძალა. შენ იცი, მე დიდი ხანი გავატარე ცირკში, და მუდამ გულისფანცქალით შევსცქეროდი მუშაითებს, მეშინოდა ბაგირიდან არ ჩამოვარდნილიყვნენ. ჩემო გოგონა, მე შენ უნდა გაგანდო ერთი ჭეშმარიტება: ადამიანები უფრო იოლად ეცემიან მყარ მიწაზე, ვიდრე მუშაითები ვარდებიან არასაიმედო ბაგირიდან. შეიძლება შენ უცებ მოგაჯადოვოს რომელიმე ბრილიანტის ბრწყინვალებამ, და მაშინ... სწორედ ეს ბრილიანტი იქნება არასაიმედო ბაგირი, ის ბეწვის ხიდი, საიდანაც უეჭველად ჩამოვარდები. შესაძლოა, ერთ ბედნიერ დღეს შენ მოგხიბლოს ვინმე პრინცის შემოხედვამ. აი, მაშინ შენ. — გამოუცდელი მუშაითი — აუცილებლად ჩამოვარდები ბაგირიდან. ნუ გაცვლი შენს გულს ოქროზე და სამკაულებზე. იცოდე, რომ ყველაზე დიდი ბრილიანტი დედამიწაზე მზეა. საბედნიეროდ, იგი ყველა ადამიანის სახეზე კიაფობს, — ხოლო როცა მოვა დრო და ვინმეს შეიყვარებ, შეიყვარე მთელი გულით.

შენ ძნელი სამუშაო გაქვს. მე ვიცი ეგ. შენ სხეულს აბრეშუმის სიფრიფანა ქსოვილი ჰფარავს. ხელოვნების გულისათვის სცენაზე გამოსვლა დედიშობილაც შეიძლება, მაგრამ იქედან კიდევ უფრო სპეტაკი და განწმენდილი უნდა დაბრუნდე.

მე ვიცი, მამებს და შვილებს მუდამ ბრძოლა აქვთ ერთმანეთთან. შენც შეებრძოლე ჩემს აზრებს. ებრძოლე ჩარლის, ჩემო გოგონა! მაგრამ ამ შობის ღამეს, სანამ ჩემს თვალთაგან გადმოღვრილ ცრემლს ეს წერილი არ დაუსველებია, მინდა დავიჯერო, რომ მოხდება სასწაული და მიხვდები ყოველივეს, რაც მე მინდოდა შენთვის მეთქვა.

ჩარლი დაბერდა, ჟერალდინა!

ადრე თუ გვიან, თეთრი კაბის ნაცვლად, შავებით შეიმოსები და ჩემს საფლავზე მოხვალ. ახლა არ მინდა გუნება გაგიფუჭო. მაგრამ დროდადრო, როცა სარკეში ჩაიხედავ, — იქ ჩემს სახეს დაინახავ. შენს ძარღვებში ჩემი ს სხლი დის. და, როცა ძარღვებში სისხლი გამეყინება, მე მინდა არ დაივიწყო მამაშენი — ჩარლი!

— მე არ ვყოფილვარ ანგელოზი, მაგრამ მუდამ ვცდილობდი ადამიანი ვყოფილიყავი.

ეცადე შენც!..

გკოცნი

ჩაRლი.



ჩარლი ჩაპლინის ქალიშვილი
ჟერალდინა მამამისის კოსტიუმში

ბულგარული საბავშვო ჟურნალი
„კარტინნაია გალერეია“.



# რიკი-ტიკი-ტავი

## რადიარდ კიპლინგი

ეს დიდი ომი რიკი-ტიკი-ტავიმ სეგოულის სამხედრო დაბის განაპირას მდგარი დიდი სახლის სააბაზანო ოთახში მარტოდ-მარტომ გადაიხადა. რიკი-ტიკის თერძი ჩიტი დარზი ეხმარებოდა, მუშკის ვირთაგვა ჩუჩუნდრა კი რჩევას აძლევდა. ჩუჩუნდრა ისეთი მხდალია, შუა ოთახში გამოსვლას ვერასოდეს ვერ ბედავს და მხოლოდ კედელ-კედელ მიიპარება. მართალია, რიკი-ტიკის დარზი და ჩუჩუნდრა ეხმარებოდნენ, მაგრამ ნამდვილმა ბრძოლამ მხოლოდ მის ზურგზე გადაიარა.

რიკი-ტიკი-ტავი მანგუსტი იყო. ბეწვი და კუდი კატის კნუტს მიუგავდა, თავი კი ისეთი ჰქონდა, სინდიოფალა გეგონებოდათ. ჩვეულებითაც სულ სინდიოფალას ჰგავდა. თვალები ვარდისფრად უელავდა. მოუსვენარი ცხვირის წვერიც ვარდისფერი ჰქონდა. ისეთი მოქნილი იყო, გინდ წინა, გინდ უკანა ფეხით, ტანს სადაც მოისურვებდა, იქ მოიფხანდა. კუდს ისე აიბურძგნიდა, იტყოდით, ბოთლის საწმენდელააო. მაღალ ბალახში რომ მიხტოდა, მისი საომარი ძახილი მჟექარედ გაისმოდა: რიკი-ტიკ-ტიკ-ტიკი-ჩკ!

რიკი-ტიკი-ტავი დედ-მამასთან ერთად ცხოვრობდა სოროში. მაგრამ ერთ დღეს წყალი ადიდდა, პატარა მანგუსტი სოროდან ამოაგდო და გზისპირა თხრილისაკენ გაიტაცა. რიკი-ტიკი ყვიროდა, ფეხებს აფართხალებდა. ბოლოს, წყალზე ატივტივებულ ერთ ბლუჯა ბალახს ჩაებღაუჭა და გრძნობა დაკარგა. როცა გონს მოვიდა, მთლად ტალახში ამოსვრილი, ბაღის ბილიკზე იწვა. ზემოდან მზე აცხუნებდა. თავს პატარა ბიჭი დასდგომოდა.

— შეხედე, მკვდარი მანგუსტი! — თქვა ბიჭმა, — მოდი, დავასაფლაოთ!

— არა, — უთხრა დედამ, — შინ წავიყვანოთ და გავაშროთ, იქნებ ცოცხალია.

დედა-შვილმა მანგუსტი სახლში შეიყვანეს და დიდ კაცს აჩვენეს.

— მკვდარი არაა, წყალი კი ბევრი უყლაპია, — თქვა დიდმა კაცმა.

რიკი-ტიკი ბამბაში გაახვიეს და ცეცხლთან გაათბეს. მან თვალები გაახილა და ცხვირი დააცემინა.

— ახლა, — თქვა დიდმა კაცმა (იგი ინგლისელი იყო, ამ სახლში ახლახან ჩამოსახლდა), — ნუ შეაშინებთ. ვნახოთ, რას იზამს.

ამ ქვეყნად მანგუსტის შეშინებაზე ძნელი არაფერია. იგი თავით-ფეხამდე ცნობისმოყვარეობითაა შეპყრობილი. „გამოჩხრიკე და გამოიკვლიე“, — ასეთია მანგუსტთა საგვარეულოს დევიზი. რიკი-ტიკიც ჭეშმარიტი მანგუსტი გახლდათ. მან ჯერ ბამბა გასინჯა და დაასკვნა, საჭმელად არ გამოდგებაო. მერე მაგიდას შემოურბინა, უკანა ფეხებზე დასკუპდა, ბეწვი გაისწორა და პატარა ბიჭს მხარზე შეახტა.

— ნუ გეშინია, თედი, — უთხრა მამამ, — შენთან დამეგობრება უნდა.

— ოჰ!.. კისერში მიღიტინებს, — თქვა თედიმ.

რიკი-ტიკიმ ბიჭს საყელოში ჩახედა, ყურის ბიბილოზე დაყნოსა, მერე ძირს ჩაცოცდა, იატაკზე დაჯდა და ცხვირის სრესა დაიწყო.

— ღმერთო დიდებულო, — თქვა თედის დედამ, — განა ეს ველური არსებაა? ალბათ, გულკეთილად რომ მოვეფერეთ, მაიტომ გაგვიშინაურდა.

— ყველა მანგუსტი ასეთია, — უთხრა ქმარმა, — ახლა ეგ მთელი დღე სახლში ირბენს, თუ თედი კუდით არ დაითრევს, ან გალიაში ჩასმას არ მოუნდომებს. მოდი, რამე ვაჭამოთ.

რიკი-ტიკის უმი ხორცის პატარა ნაჭრით გაუმასპინძლდნენ. რიკი-ტიკიმ პირი ჩაიგემრიელა, მერე აივანზე გავიდა და მზეზე დაჯდა. ბეწვი აიბურძგნა, კარგად გაიშრალა და თავი უკეთ იგრძნო.

„ამ სახლში უფრო მეტი რამეა აღმოსაჩენი, — თქვა მან თავისთვის, — ვიდრე ყველა ჩემიანი აღმოაჩენდა მთელ თავის სიცოცხლეში. რა თქმა უნდა, დავრჩები და ყველაფერს შევიტყობ“.

რიკი-ტიკი მთელი დღე სახლში დარბოდა. კინაღამ აბაზანაში ჩაიხრჩო. საწერ მაგიდაზე აცოცდა და სამელნეში ცხვირი ჩაყო. დიდ კაცს მუხლებზე შეახტა, უნდოდა გაეგო, — როგორ წერდა, მაგრამ სიგარამ ბეწვი აუტრუსა. შეღამებისას თედის დასაძინებელ ოთახში შეირბინა, რომ ენახა, როგორ ანთებდნენ ნავთის ლამპას. როცა თედი დასაძინებლად დაწვა, რიკი-ტიკიც საწოლზე აცოცდა, მაგრამ მოუსვენარი მეზობელი გამოდგა. მცირე ხმაურიც კი არ გამოეპარებოდა. წამოხტებოდა, რომ გაეგო, რა მოხდა. როცა თედის დედა და მამა შვილის დასახედად ოთახში შევიდნენ, რიკი-ტიკი ბალიშზე იწვა, მაგრამ არ ეძინა.

— ეს ამბავი არ მომწონს, — თქვა თედის დედამ, — ვაითუ ბავშვს უკბინოს!

— ნუ გეშინია, არაფერს ავნებს, — თქვა მამამ. — თედის ეს პატარა არსება ნაგაზზე უკეთესად დაიცავს. გველი რომ შემოცოცდეს...

მაგრამ თედის დედას ასეთ საშინელებაზე ფიქრიც კი არ უნდოდა.

რიკი-ტიკი დილა ადრიანად თედის მხარზე შეასკუპდა და სასაუზმოდ ისე გამოვიდა აივანზე. მას ბანანი და მოხარშული კვერცხი მიართვეს. რიკი-ტიკი ყველას რიგ-რიგობით უჯდებოდა კალთაში. ყოველი კარგად აღზრდილი მანგუსტი იმედოვნებს, რომ ოდესმე ადამიანებს შეეკედლება და ოთახებში ირბენს. რიკი-ტიკის დედა სეგოულში გენერლის სახლში ცხოვრობდა და შვილს დაწვრილებით ასწავლა, როგორ მოქცეული იყო, თუ ოდესმე თეთრ ადამიანებთან დასახლდებოდა.

ნასაუზმევს რიკი-ტიკი ბაღის დასათვალიერებლად გავიდა. სანახევროდ დამუშავებულ დიდ ბაღში ლიმონი, ფორთოხალი, ბამბუკი და ფანჩატურისოდენა ვარდის ბუჩქები იდგა. ხშირი, მაღალი ბალახი მწვანედ ბიბინებდა. რიკი-ტიკიმ ტუჩები მოილოკა.

— საუცხოო სანადირო ადგილია, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვა და ნადირობის გახსენებაზე კუდი ბოთლის საწმენდელასავით აებურძგნა.

მან სწრაფად დაიწყო სირბილი აქეთ-იქით. ხან აქ ყნოსავდა ბალახს, ხან იქ. უცებ კვრინჩხის ბუჩქიდან ნაღვლიანი ხმები შემოესმა. ამ ბუჩქში თერძ ჩიტ დარზის და მის ცოლს მშვენიერი ბუდე გაემართათ. ორი დიდი ფოთოლი ერთმანეთზე წვრილი წნელით მიემაგრებინათ, შიგ ბამბა და ბუმბული ჩაეფინათ. ახლა ბუდის კიდეზე ისხდნენ და მწარედ მოთქვამდნენ. ბუდე აქეთ-იქით ქანაობდა.

— რა დაგემართათ? — ჰკითხა მათ რიკი-ტიკიმ.

— დიდი უბედურება დაგვატყდა, — უპასუხა დარზიმ. — ერთი ბარტყი ბუდიდან გადმოგვივარდა და ნაგმა შეგვიჭამა.

— ოჰ, ძალიან სამწუხაროა, — უთხრა რიკი-ტიკიმ, — მაგრამ მე აქაური არა ვარ და არ ვიცი, ნაგი ვინაა.

ამ დროს ხშირ ბალახში, ბუჩქთან ახლოს, შემზარავი, ცივი სისინი გაისმა. დარზის და მის ცოლს შიშისაგან ენა ჩაუვარდათ და ბუდეში ჩაიმალნენ. რიკი-ტიკი სწრაფად გადახტა უკან. ბალახიდან ნელ-ნელა ამოიზიდა დიდი, შავი კობრას თავი და გაშლილი კაპიშონი. გველი ნესტრიდან კუდამდე ხუთი ფუტი იქნებოდა. როცა ტანის მეხამედი მიწას მთლად ააშორა, აქეთ-იქით ისე დაიწყო ქანაობა, როგორც ბაბუაწვერა ქანაობს ხოლმე ქარში.

ნაგმა რიკი-ტიკის ბოროტად შეხედა. გველს თვალების გამომეტყველება არასოდეს არ ეცვლება, რასაც არ უნდა ფიქრობდეს.

— ნაგი ვინ არის? — უთხრა მანგუსტს. — მე გახლავარ. დიდმა ღმერთმა ბრაჰმამ ნიშანი დაადო ჩვენს მოდგმას, როცა პირველმა კობრამ კაპიშონი გაშალა და მზე მოუჩრდილა. შემომხედე და გეშინოდეს!

ნაგმა უფრო მეტად გაშალა კაპიშონი და რიკი-ტიკიმ მის ზურგზე დაინახა სათვალისებური ნიშანი, ფოლადის დუგმას რომ ჰგავს.

რიკი-ტიკი უცაბედად შეკრთა, თუმცა მანგუსტის გულში შიში დიდხანს ვერ დაიბუდებს. რიკი-ტიკიმ ცოცხალი კობრა პირველად ნახა, მაგრამ დედამისი მოკლულ კობრებს აჭმევდა. ამიტომ კარგად იცოდა, რომ მანგუსტი გველებს უნდა ებრძოდეს და ჭამდეს. ეს ნაგმაც იცოდა და გულის სიღრმეში ეშინოდა.

— რაო? — თქვა რიკ-ტიკიმ და კუდი ისევ აებურძგნა, — რახან ეგ რაღაც ნიშანი გახატია, ხომ არ გგონია, რომ ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყების შეჭმის ხება გაქვს?

ნაგი რაღაცას ფიქრობდა და რიკი-ტიკის უკან შერხეულ ბალახს თვალს არ აცილებდა. ნაგმა იცოდა, რომ ბაღში მანგუსტის გამოჩენა ადრე თუ გვიან მის ოჯახს მოსპობას უქადდა. ახლა უნდოდა, რიკი-ტიკის სიფხიზლე მოედუნებინა, ამიტომ თავი ოდნავ დაბლა დახწია და გვერდზე გადახტა.

— ვისაუბროთ ,— უთხრა რიკი-ტიკის,— შენ ხომ კვერცხებს კარგად მიირთმევ, მაშ მე ბარტყები რატომ აღარ უნდა შევჭამო?

— უკან მიიხედე, უკან! — დაიმღერა დარზიმ.

რიკი-ტიკიმ იგრძნო, რომ უკან მიხედვის დრო აღარ ჰქონდა და, რაც კი შეეძლო, მაღლა ახტა. მის ქვეშ ჰაერი გაჰკვეთა ნაგის ბოროტი ცოლის—ნაგაინას თავმა. როცა რიკი-ტიკი ნაგს ელაპარაკებოდა, ნაგაინა უკანიდან მიპარვოდა და დაგესლვას უპირებდა. მაგრამ კბილები ააცდინა და ბოროტად ასისინდა. რიკი-ტიკი გველს პირდაპირ ზურგზე დაახტა. გამოცდილი მანგუსტი ერთი კბენით გადაუტეხავდა ზურგს, მაგრამ რიკი-ტიკის შეეშინდა კობრას ხელახალი შემოტევისა, კბილი გაჰკრა და უკან გადახტა. დაკბენილი ნაგაინა უფრო გამძვინვარდა.




**დ. დიდრო:** ვინც გულახდილად აღიარებს, რომ მან არ იცის ის, რაც არ იცის, მაიძულებს დავუჯერო ყოველივე, რის ახსნასაც ის დამიწყებს.

**იაპონური ანდაზა:** ნუ ითაკილებ იკითხო. უცოდინარობა უფრო სათაკილოა.

**ინგლისური ანდაზა:** სჯობს ათჯერ ჰკითხო, ვიდრე ერთხელ წახვიდე მცდარად.

**კონფუცი:** რა არის ცოდნა? თუ იცი — ამტკიცე, რომ იცი, თუ არ იცი — ამტკიცე, რომ არ იცი. ესაა ცოდნა.

**ტ. ლივიუსი:** გამარჯვების იმედი გამარჯვებას გვანიჭებს, გამარჯვებაში დარწმუნებულობა კი გვართმევს მას.

**გ. ლიხტენბერგი:** — სიამაყე, როგორც კეთილშობილური გრძნობა, მუდამ გრძნობს თავის ნაკლოვანებებს; მხოლოდ ქედმაღლობა ვერ ამჩნევს მათ.

**ა. ნავოი:** ის, ვინც კითხულობს იმის შესახებ, რაც არ იცის, — ბრძენია; ხოლო ის, ვინც ქედმაღლობის გამო არ კითხულობს, თვითონვეა თავისი თავის მტერი.

**ი. პავლოვი:** შეაჩვიეთ თქვენი თავი თავმდაბლობას. ნურასოდეს ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ ყველაფერი იცით და, რაც არ უნდა ძლიერ გაფასებდნენ, მუდამ იქონიეთ ვაჟკაცობა, უთხრათ თქვენს თავს: „მე უვიცი ვარ“. არ დაგიმორჩილოთ ქედმაღლობამ. იგი თქვენ დაგაწყებინებთ ჯიუტობას იმ დროს, როცა საჭიროა დათანხმება, იგი თქვენ უარს გათქმევინებთ სასარგებლო რჩევასა და მეგობრულ დახმარებაზე...

**სოფოკლე:** თავის თავზე დიდი წარმოდგენა მოკლე ჭკუის ერთ-ერთი ნიშანია.

**სპარსული თქმა:** როგორც წყალი არ გროვდება მთის წვერზე, ისე არც ცოდნა აქვთ მედიდურებს. წყალიცა და ცოდნაც დაბალ ადგილებს ეტანება.

**ლ. ტოლსტოი:** არ არის სამარცხვინო და არ არის საზიანო არცოდნა. ყველაფრის ცოდნა არავის არ ძალუძს; სამარცხვინო და საზიანოა თავი ისე მოაჩვენო, თითქოს იცი ის, რაც არ იცი.

**ჩინური ანდაზა:** ცოდნა, რომელიც ყოველდღე არ ივსება, ყოველდღე კლებულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რია: თუ მანგუსტი გველზე დაგვიანდა, იგი რაღაც ბალახს მოძებნის, შეჭამს და განიკურნებაო. ეს სწორი არაა. გამარჯვება მხოლოდ თვალისა და ფეხის სისწრაფის საქმეა. გველის იარაღი დარტყმაა, მანგუსტისა კი — ნახტომი. გველი თავს ისე სწრაფად ურტყამს, თვალს ვერავინ შეასწრებს. მანგუსტი კი ისე მარდად ხტის, გველის ასეთ სწრაფ დარტყმას თავს არიდებს. ეს უფრო საოცარია, ვიდრე ჯადოსნური ბალახის საიდუმლოს ცოდნა.

რიკი-ტიკი ახალგაზრდა, გამოუცდელი მანგუსტი იყო, მაგრამ ზურგიდან დარტყმა მაინც აიცდინა. ამან გული სიხარულით აუვსო და საკუთარი თავის რწმენა ჩაუნერგა.

ამ დროს ბილიკზე თედი გამოჩნდა. იგი მანგუსტისკენ ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა. რიკი-ტიკი ახლა მოალერსებაზე უარს არ



 იტყოდა, მაგრამ, როცა ბიჭი მისკენ დაიხარა, მტვერში რაღაც ოდნავ გაიკლაკნა.

— ფრთხილად. მე ვარ სიკვდილი! — გაისმა წრიპინა ხმა.

ეს იყო კარაიტი — ყავისფერ-მტვრისფერი პატარა გველი. კარაიტს მტვერში ძნევარს წოლა. მისი ნაკბენი კობრის ნაკბენივით საშიშია. მაგრამ კარაიტი ისე პატარაა, რომ არაფრად აგდებენ. ამიტომაც ადამიანს უფრო მეტ ვნებას აყენებს.

რიკი-ტიკის თვალები ისევ გაუწითლდა. იგი კარაიტს ცეკვა-ცეკვით მიუახლოვდა. აქეთ-იქით უცნაურად ირწეოდა. ასეთი სიარული წინაპრებისაგან მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული. ეს ძალზე სასაცილო მოძრაობაა. სამაგიეროდ, მოსახერხებელია: მანგუსტს ყოველ წამს შეუძლია იქით გადახტეს, საითაც მოისურვებს. გველებთან ბრძოლისას კი ეს დიდი უპირატესობაა. რა იცოდა რიკიმ, რომ კარაიტთან ბრძოლა ნაგთან ბრძოლაზე უფრო საშიში იყო. კარაიტი ძალზე პატარაა, მაგრამ საოცრად სწრაფია. თუ რიკი კარაიტს თავთან ახლოს არ სტაცებდა პირს, კარაიტი ან ტუჩზე უკბენდა, ან თვალში ჩაასობდა კბილებს.

მაგრამ რიკიმ ეს არ იცოდა. თვალები მთლად ჩასწითლებოდა, წინ და უკან ირწეოდა და თან შესაფერ ადგილს ეძებდა კბილების ჩასასობად. ამ დროს კარაიტი მისკენ გამოექანა. რიკი განზე გახტა და გვერდიდან შემოვლა დააპირა, მაგრამ ბოროტი კარაიტის მტვრისფერ-ნაცრისფერმა პატარა თავმა მხართან გაუელვა. რიკი-ტიკი გველს ზემოდან გადაახტა. კარაიტი უკან გამოედევნა და კინაღამ ფეხში სწვდა.

თედიმ სახლისკენ გაიხედა და დაიყვირა:

— ნახეთ, ჩვენი მანგუსტი გველს კლავს!

რიკი-ტიკიმ თედის დედის კივილი გაიგონა. ბიჭის მამამ ჯოხს წამოავლო ხელი და გამოიქცა. მაგრამ ამ დროს კარაიტი მოუხერხებლად გადახტა წინ, რიკი-ტიკიმ ისკუპა, გველს დააცხრა, თავთან ახლოს უკბინა და გვერდზე გადაგორდა. კარაიტი აღარ იძვროდა. რიკი-ტიკიმ, წინაპართა ჩვეულებისამებრ, კუდიდან დაუპირა შეჭმა, მაგრამ გაახსენდა, რომ სადილი დაამძიმებდა. თუ სურდა, რომ ძალა და სისწრაფე შეენარჩუნებინა, გამხდარი უნდა ყოფილიყო. იგი იქაურობას გაეცალა და აბუსალათინის ბუჩქის ძირას მტვერში გაგორდა. თედის მამა კი მკვდარ გველს ეცა და ჯოხის ცემა დაუწყო.

„ნეტავ რაღასა სცემს, — ფიქრობდა რიკი-ტიკი, — მე ხომ უკვე ბოლო მოვუღე".

ამ დროს თედის დედამ მოირბინა, რიკი-ტიკი მტვრიდან აიტაცა და გულში ჩაიკრა. თან ტირილით ამბობდა, თედი სიკვდილისაგან ამან გადაგვირჩინაო. თედის მამამ თქვა, რიკი-ტიკი განგებამ მოგვივლინაო. თედი კი ყველაფერს დიდი, დამფრთხალი თვალებით შემყურებდა. რიკი-ტიკი ნასიამოვნები იყო ამ ალიაქოთით, თუმცა ვერ გაიგო, რა იყო ალიაქოთის მიზეზი. თედის დედას ხომ ისევე შეეძლო, შვილს მტვერში თამაშისთვის მოჩხუბრებოდა. რიკი ნეტარებდა.

იმ საღამოს, ვახშამზე, რიკი-ტიკი დიდხანს დასეირნობდა მაგიდაზე, ღვინის ჭიქებს შორის. შეეძლო, მუცელი თუნდაც სამჯერ გამოეტენა მრავალნაირი სანუკვარით, მაგრამ ნაგი და ნაგაინა არ ავიწყდებოდა. თედის დედა ეფერებოდა, ხელს უთათუნებდა. თედი მხარზე ისვამდა. რიკი-ტიკი ნებივრობდა, მაგრამ დროდადრო თვალები ჩაუწითლდებოდა და წამოიწყებდა საომარ ძახილს: რიკი-ტიკ-ტიკ-ტიკი-ჩკ!

დასაძინებლად რომ დაწვა, თედიმ რიკი-ტიკი თავისთან ჩაიწვინა, თანაც უნდოდა, მანგუსტს აუცილებლად მის მკერდზე, ნიკაპქვეშ დაეძინა. რიკი-ტიკი კარგად აღზრდილი მანგუსტი იყო და თედის არც უკბენდა, არც დაუფხაჭნიდა, მაგრამ როგორც კი

— ბოროტო, ბოროტო დარზი! — შესძახა ნაგმა და კურინჩხის ბუჩქზე დაკიდებული ბუდისაკენ ახტა. მაგრამ ბუდე მხოლოდ შეირხა, რადგან დარზის იმ სიმაღლეზე გაემართა, გველები ვერ შესწვდებოდნენ.

რიკი-ტიკიმ იგრძნო, როგორ გაუწითლდა და წამოუსივდა თვალები, (როცა მანგუსტს თვალები უწითლდება, გაბრაზებულია). იგი კუდსა და უკანა ფეხებზე კენგურუსავით ჩაჯდა და გაშმაგებული ახუზლუნდა. მაგრამ ნაგი და ნაგაინა ბალახში გაუჩინარდნენ.

როცა გველი დარტყმას ააცდენს, არაფერს ამბობს და არც ამჟღავნებს, რა აქვს განზრახული. რიკი-ტიკიმ იფიქრა, ორ გველს ერთად ვერ მოვერევიო და, გამოდევნება არც უცდია. იქაურობას გაშორდა და სახლისაკენ მიმავალ ხრეშიან ბილიკს გაუყვა. შუა ბილიკზე ჩაჯდა და ჩაფიქრდა. საფიქრალი კი მართლაც რომ ბევრი ჰქონდა.

ბუნებისმეტყველების ძველ წიგნებში წე-

ბიჭმა დაიძინა, მაშინვე ჩამოცოცდა საწოლიდან და სახლში სახეტიალოდ გაემართა.

რიკი-ტიკი სიბნელეში შეეფეთა მუშკის ვირთაგვას — ჩუჩუნდრას, რომელიც კედლის გაყოლებით მიიპარებოდა.

ჩუჩუნდრა მხდალი, პატარა არსებაა. მთელი ღამე წუწუნებს, წრიპინებს, ცდილობს გული გაიმაგროს და შუა ოთახში გავიდეს. მაგრამ ვერა და ვერ ახერხებს, გამბედაობა არ ჰყოფნის.

— ნუ მომკლავ, — უთხრა მანგუსტს ჩუჩუნდრამ თითქმის ქვითინით, — რიკი-ტიკი, ნუ მომკლავ!

— რა გგონია, გველების მკვლელი მუშკის ვირთაგვის მოკვლას იკადრებს? — ზიზღით უთხრა რიკი-ტიკიმ.

— გველების მკვლელს გველისაგან ელის სიკვდილი. — აწუწუნდა ჩუჩუნდრა უფრო საცოდავად, — ვინ იცის, იქნებ ერთ ბნელ ღამეს ნაგს მანგუსტი ვეგონო და შენს მაგივრად მომკლას.

— ნურაფრისა გეშინია, — უთხრა რიკი-ტიკიმ, — ნაგი ბაღშია, შენ კი ბაღში არასოდეს არ ჩადიხარ.

— ჩემმა ბიძაშვილმა ვირთხა ჩუამ მითხრა... — დაიწყო ჩუჩუნდრამ და უცებ გაინაბა.

—გითხრა? რა გითხრა?

—ჩუ!.. ნაგი ყველგანაა, რიკი-ტიკი. შენ ბაღში უნდა გეთათბირნა ჩუასთან.

—მე ჩუა არ მინახავს. მითხარი ახლა, რასაც ამბობდი. მალე, ჩუჩუნდრა, თორემ გიკბენ!

ჩუჩუნდრა ჩაცუცქდა და ატირდა. ცრემ-



ლები ულვაშებზე ჩამოუგორდა.

—მე ერთი საცოდავი არსება ვარ,—სლუკუნებდა იგი.—შუა ოთახში გამოსვლასაც კი ვერა ვბედავ. ჩუ!.. არ გესმის, რიკი-ტიკი? მიჭობს, ხმა არ ამოვიღო.

რიკი-ტიკიმ ყური მიუგდო. სახლში სიჩუმე გამეფებულიყო. მაგრამ მოეჩვენა, რომ გაიგონა ძალიან სუსტი ფაჩუნი, ოდნავ გასაგონი: შ-შ-შ, თითქოს ფანჯრის მინაზე კრაზანამ გაიარაო. გველის ქერცლი ფხაჭუნებდა აგურზე.

„ეს—ნაგია, ან ნაგაინა,—გაიფიქრა რიკიმ, —სააბაზანო ოთახის წყალსადენ მილში ძვრება".

—მართალი ხარ, ჩუჩუნდრა, ჩუასთან უნდა მეთათბირნა.

რიკი-ტიკი თედის სააბაზანო ოთახში ჩუმად შეიპარა, მაგრამ იქ ვერაფერი ნახა. შემდეგ თედის დედის სააბაზანო ოთახისაკენ გაემართა. კედლის ძირას, სააბაზანო მილის გასაყვანად, აგური გამოეძროთ. როცა რიკი-ტიკი იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც შემაღლებულ ფილაქანზე აბაზანა იყო დადგმული, სისინს მოჰკრა ყური. გარეთ, მთვარის შუქზე, ნაგი და ნაგაინა ჩურჩულებდნენ.

—როცა ამ სახლში ხალხი აღარ იქნება,—უთხრა ნაგაინამ ქმარს,—ისიც წავა აქედან და ბაღი ისევ ჩვენ დაგვრჩება. ჩუმად შედი. იცოდე, პირველად უნდა უკბინო დიდ კაცს, რომელმაც კარაიტი მოკლა. მერე გამოდი და რიკი-ტიკიზე ერთად ვინადიროთ.

—ხალხის დახოცვით ჩვენ რა სარგებელი გვექნება?—ჰკითხა ნაგმა.

— ძალიან ბევრი. სანამ სახლში არავინ ცხოვრობდა, ბაღში მანგუსტი გინახავს? როცა სახლი ისევ დაცარიელდება, ჩვენ ვიქნებით ბაღის ნეფე და დედოფალი. გახსოვდეს, ჩვენს შვილებს სიმყუდროვე დასჭირდებათ, როგორც კი ნესვის კვალში დადებული კვერცხებიდან გამოიჩეკებიან (ეს კი შეიძლება ხვალვე მოხდეს).

—ეგ ფიქრადაც არ მომსვლია,—თქვა ნაგმა.—კარგი, წავალ. მაგრამ მერე რიკი-ტიკიზე ნუღარ ვინადირებთ. მე დიდ კაცს და მის ცოლს დავხოცავ. თუ შევძელი, ბავშვსაც მოვკლავ და ჩუმად გამოვალ. მაშინ სახლი დაცარიელდება და რიკი-ტიკი თვითონ გაეცლება აქაურობას.

რიკი-ტიკი სიშმაგისა და სიძულვილისაგან აცახცახდა.

ხვრელიდან ნაგის თავი გამოჩნდა და უკან ხუთი ფუტის სიგრძე ცივი სხეული გამოჰყვა. რიკი-ტიკი თუმცა გაბრაზებული იყო, მაგრამ მაინც ძალიან შეეშინდა, როცა ამოდენა კობრა დაინახა. ნაგი მოირკალა, თავი მაღლა ასწია და ჩაბნელებული სააბაზანო შეათვალიერა. რიკი-ტიკი ხედავდა, გველს თვალები როგორ უბჭყვიალებდა.

„ახლა რომ მოვკლა, ნაგაინა უსათუოდ გაიგებს. გაშლილ ადგილას ბრძოლა კი გამიჭირდება. შეიძლება დამჯაბნოს. როგორ მოვიქცე?" — გაიფიქრა რიკი-ტიკიმ.

ნაგი აქეთ-იქით ქანაობდა. შემდეგ რიკი-ტიკიმ გაიგონა, როგორ სვამდა გველი წყალს ყველაზე დიდი ქილიდან, რომელსაც აბაზანის ასავსებად ხმარობდნენ.

—დიდებულია, — თქვა გველმა, — როცა დიდმა კაცმა კარაიტი მოკლა, ხელში ჯოხი ეჭირა. ის ჯოხი მას შეიძლება ახლაც თან ჰქონდეს. დილით, საბანაოდ რომ შემოვა, მაშინ კი თან აღარ ექნება. მე დავიცდი, სანამ აქ არ შემოვა. ნაგაინა, გესმის? მე აქ, სიგრილეში დავუცდი გათენებას.

ნაგს გარედან არავინ გამოეხმაურა. რიკი-ტიკი მიხვდა, რომ ნაგაინა წავიდა. ნაგი ქილას დაეხვია. რიკი-ტიკი სიკვდილივით გაირინდა. ერთი საათის შემდეგ ქილისაკენ ნელა გაჩოჩდა. ნაგს ეძინა. რიკი-ტიკიმ ფართო ზურგზე დახედა, თან ფიქრობდა, კბილები სად ჩავჭიდოო.

„თუ კისერი პირველ წამსვე ვერ გადავუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთების სიმფონია

დილა მთის წვერზე
აგორებს მთელ მზეს, —
ყველას გვეყოფა ოქროს მარაგი.
მკერდი გაუხსნა იორმა თევზებს,
ნატყვიარივით ბორგავს არაგვი;
იღვიძებს მიწა – მრავალნახმლევი,
მარტის თოვლივით ნისლი ილევა,
კლდეებში ჩარჩა ღამის ნახევი,
მთებში გუგუნებს სვანის ლილეო;
გულში მზეა და ზეცა არ ტირის,
ეს დილა ვის არ აალილინებს, —
ირემი ბალახს აიღებს პირით
და მიაწოდებს მეგობარ ირემს.

■ ■ ■

დავეძებ...
ველებს და ტაიგებს
ვაჯერებ მე იმის ძებნაში,
წავიდა და ველარ გავიგე —
სად არის ნეტავი ის ბავშვი.
სად არის ბავშვობის დღეები,
ცხენები, შურდული, ანკესი,
ალუბლით გათხვრილი ხელები,
თვალები — ფოლადის ნაკვესი.
სად არის ურემი პატარა,
უღელში ძაღლებს რომ ვუბამდი.
სად არის პატარა მათარა,
ხალათი — გათხვრილი უბემდი.
გაფრინდა, ვით ლურჯი იაბო,
და ველარ მინახავს წამითაც...
კარგებო, იქნებ თქვენ მიამბოთ,
ის ბიჭი საითკენ წავიდა.

ილია ბარამიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტეხე,—გაფიქრა რიკიმ,—ბრძოლას მაინც შეძლებს. და თუ შემებრძოლა, ვაი ჩემს დღეს!“

მან შეხედა გველის სქელ კისერს კაპიშონის ქვემოთ. არა, ამ სისქე კისერს ვერ გადაუმტვრევს. ხოლო კუდში თუ უკბენს, გველს ამით მხოლოდ გააშმაგებს.

„თავში უნდა ვუკბინო,—გადაწყვიტა ბოლოს,—თავში, კაპიშონის ზემოთ. თუ ერთი ჩავჭიდე კბილები, მერე აღარ უნდა გავუშვა“.

რიკი-ტიკიმ ისკუპა. ნაგს თავი ქილის ცოტა მოშორებით ედო. რიკი-ტიკიმ კბილები ჩასჭიდა და ზურგი წითელი თიხის ქოთნის მუცელს მიაბჯინა, რომ გველს თავი მაღლა ვერ აეწია. ამით მხოლოდ ერთი წამი მოიგო, მაგრამ ამ ერთი წამითაც კარგად ისარგებლა. ნაგმა რიკი-ტიკი ზევით აიქნია და ძირს დაანარცხა. აქეთ-იქით ისე იქნევდა, ისე აბურთავებდა, როგორც ძაღლი ვირთხას აბურთავებს ხოლმე—ხან ზევით აისროდა, ხან ძირს დაახეთქებდა, ხან ირგვლივ ატრიალებდა. მაგრამ რიკის თვალები წითლად უელავდა და ნაგს პირს არ უშვებდა, თუმცა ნაგი მათრახივით ურტყამდა იატაკზე. გველმა თუნუქის ჩამჩა გადააპირქვავა, სასაპნეები და ჯაგრისები აქეთ-იქით მიფატმოფანტა და რიკი-ტიკი ლითონის აბაზანის კიდეს მიანარცხა.

რიკი-ტიკი ყბებს თანდათან უფრო მაგრად უჭერდა. ფიქრობდა, ჩემი აღსასრული მოახლოვდა და ისე უნდა მოვკვდე, კბილი კბილს არ მოვაშორო, რომ წინაპართა სახელი არ შევარცხვინოო.

რიკი-ტიკის თავბრუ დაეხვა, ყველაფერი სტკიოდა, ასე ეგონა, ნაწილ-ნაწილად მგლეჯენო. ამ დროს მის უკან რაღაცამ დაიქუხა. ცხელმა ქარმა რიკი ძირს დაანარცხა. წითელმა ცეცხლმა ბეწვი აუტრუსა. თურმე,



დიდი კაცი ხმაურმა გამოაღვიძა, მოირბინა და სანადირო თოფის ორივე ლულიდან ნაგს კაპიშონთან ახლოს დაახალა.

რიკი-ტიკი გველს პირს არ უშვებდა. თვალებს არ ახელდა, რადგან ეგონა—მოვკვდიო.

მაგრამ გველის თავი აღარ იძვროდა. დიდმა კაცმა რიკი-ტიკი ხელში აიყვანა და თქვა:

—შეხედე, ელის, ისევ მანგუსტმა გვიხსნა. ამ პატარა არსებამ ახლა ჩვენ გადაგვარჩინა, —მეც და შენც.

ამ დროს თედის დედაც შემოვიდა და როცა განგმირული ნაგი დაინახა, საშინლად გაფითრდა. რიკი-ტიკი თედის საწოლისაკენ წალასლასდა. მთელ ღამეს სხეულს ისინჯავდა. უნდოდა გაეგო მართლა ორმოც ნაწილად იყო დაგლეჯილი, თუ ბრძოლის დროს ასე მხოლოდ მოეჩვენა.

დილას მთლად გაშეშებული წამოდგა, მაგრამ გადატანილი ბრძოლის გახსენება გულს სიხარულით უვსებდა.

„ახლა ნაგაინას უნდა გავუსწორდე,—გაიფიქრა მან,—ეს კი ხუთ ნაგთან ბრძოლაზე ძნელი იქნება. არც ის კვერცხები უნდა დავივიწყო, ნაგაინამ რომ ახსენა. ვინ იცის, როდის გამოიჩეკებიან წიწილები. წავალ, დარზის მოვინახულებ“.

საუზმისათვის აღარ დაუცდია. კვრინჩხის ბუჩქთან მიირბინა, სადაც დარზი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამარჯვების მხიარულ სიმღერას დასძახოდა. ნაგის სიკვდილის ამბავი უკვე მთელ ბაღს მოსდებოდა, რადგან მეეზოვეს მკვდარი გველი ნაგვის გროვაზე დაეგდო.

—ოჰ, შე სულელო ბუმბულის გროვავ,—უთხრა დარზის გულმოსულმა რიკი-ტიკიმ, —რა დროს სიმღერაა!

— ნაგი მკვდარია, მკვდარია, მკვდარია, —მღეროდა დარზი,—მამაცმა რიკი-ტიკიმ თავში კბილები ჩაასო და აღარ გაუშვა. დიდმა კაცმა ბათქ-ჯოხი მიიტანა და ორად, ორად, ორად გაგლიჯა. ნაგი შვილებს ველარასოდეს ვერ შემიჭამს!

—ეს მართალია, მაგრამ შენ ის მითხარი, ნაგაინა სადაა ახლა?—ჰკითხა რიკი-ტიკიმ და თან ფრთხილად მიიხედ-მოიხედა.

—ნაგაინა სააბაზანო მილთან ნაგს უხმობდა,—განაგრძობდა დარზი,— ნაგი კი ჯოხზე გადაკიდებული გამოვიდა. მეეზოვემ ჯოხის ბოლოთი ასწია და ნაგვის გროვაზე დააგდო. მოდი, ვუმღეროთ დიად, წითელთვალება რიკი-ტიკის! — დარზიმ სული მოითქვა და სიმღერა განაგრძო.

— მანდ ამოსვლა რომ შემეძლოს, შვილებს ბუდიდან გადმოგიყრიდი! —დაუყვირა რიკი-ტიკიმ. — არ იცი, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს? შენ არხეინად ზიხარ ბუდეში და მღერი, მე კი ახალი ომი უნდა გადავიხადო... ერთი წუთით მაინც შეწყვიტე სიმღერა, დარზი!

— დიადი, მშვენიერი რიკი-ტიკის გულისთვის გავჩუმდები, — თქვა დარზიმ, — რა გსურს, საშინელი ნაგის დამმარცხებელო?

— მესამედ გეკითხები: სად არის ნაგაინა?

— საჯინიბოს გვერდით, ნაგვის გროვასთან ნაგს დასტირის. დიადია თეთრკბილებიანი რიკი-ტიკი!

— რა დროს ჩემი თეთრი კბილებია! ხომ არ იცი, ნაგაინამ კვერცხები სად დამალა?

— ნესვის კვალში, ღობესთან ახლოს, სადაც მზე მთელ დღეს აცხუნებს. რამდენი კვირაა უკვე, რაც იქ ჩაფლა.

— შენ კი ერთხელაც არ მოგაფიქრდა, რომ ჩემთვის გეთქვა. ნესვის კვალში, ღობესთან ახლოს... ასე სთქვი, ხომ?

— რიკი-ტიკი, გველის კვერცხის შეჭმას ხომ არ აპირებ?

— შეჭმას არა, მაგრამ... დარზი, თუ ჭკუის ნატამალი მაინც შეგრჩენია, გაფრინდი საჯინიბოსკენ. ნაგაინას თავი ისე მოაჩვენე, თითქოს ფრთა მოტეხილი გაქვს და ამ ბუჩქისკენ გამოიტყუე. მე ნესვის კვალთან უნდა მივიდე. ახლა იქით რომ ჩავირბინო, ნაგაინა დამინახავს.

დარზი ქარაფშუტა ჩიტი იყო და პატარა თავში ერთბაშად ერთ აზრზე მეტი არასოდეს არ ეტეოდა. რადგან ნაგაინას შვილები მისი კვერცხების მსგავსი კვერცხებიდან იჩეკებოდნენ, გველის კვერცხების განადგურება უსამართლობა ეგონა. მაგრამ დარზის ცოლს უფრო მეტი ჭკუა ჰქონდა და იცოდა, რომ კობრას კვერცხები მალე პატარა კობრებად გადაიქცეოდა. ამიტომ ბუდიდან ამოფრინდა და შვილებთან დარზი დატოვა. იჯდეს ბუდეში, ბარტყები გაათბოს და, რამდენიც უნდა, იმდენი იმღეროს ნაგის სიკვდილზეო. დარზი ზოგ რამეში ძალიან ჰგავდა მამაკაცს.

დარზის ცოლი ნაგვის გროვასთან მიფრინდა და ნაგაინას წინ დაიწყო ფართხატი. თან ხმამაღლა იძახდა:

— ვაი, ფრთა მომტეხეს! აი, იმ სახლში რომ ბიჭი ცხოვრობს, ქვა მესროლა და ფრთა მომტეხა!

შემდეგ უფრო საცოდავად აითრია ფრთა.

ნაგაინამ თავი ასწია და ასისინდა:

—შენ არ გააფრთხილე რიკი-ტიკი, დაგეხვლას რომ ვუპირებდი? კარგი ადგილი ვერ ამოგირჩევია კოჭლობისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





გველი დარზის ცოლისაკენ გასრიალდა მტვრიან მიწაზე.

— ბიჭმა ქვა მესროლა და ფრთა მომტეხა! —წრიპინებდა დარზის ცოლი.

— მაშ გული ამით დაიმშვიდე... შენს მერე იმ ბიჭს გავუსწორდები. რაც ინათა, მას მერე ჩემი ქმარი ნაგვის გროვაზე გდია. მაგრამ სანამ დაბინდდება, ის ბიჭიც მდუმარედ იწვება. გაქცევა არ გიშველის, მაინც დაგიჭერ. შემომხედე, შე სულელო!

მაგრამ დარზის ცოლმა იცოდა, რომ ნაგაინასათვის თვალებში არ უნდა შეეხედა. თუ ჩიტი გველს თვალებში შეხედავს, შიშისაგან ადგილზე გაშეშდება. დარზის ცოლი ისევ ისე მიფართხატებდა და თან საცოდავად წრიპინებდა. მიწას კი ერთხელაც არ ასცილებია. ნაგაინა აჩქარდა.

რიკი-ტიკიმ დარზის ცოლისა და ნაგაინას ხმა გაიგონა და მიხვდა, რომ ისინი საჭინიბოს დაშორდნენ. იგი ნესვის კვალისაკენ გაექანა და ნესვის ძირებზე შემოყრილ თბილ ნაკელში ეშმაკურად დამალული ოცდახუთი კვერცხი იპოვა. ეს კვერცხები ბანტამის კვერცხის ოდენა იქნებოდა, ოღონდ, ნაჭუჭის ნაცვლად, მოთეთრო კანი ჰქონდათ გადაკრული.

— ერთი დღეც და, გვიანლა იქნებოდა,— თქვა რიკი-ტიკიმ, როცა კანქვეშ გახვეული პატარა კობრები შენიშნა.

მან იცოდა, რომ კობრას მაშინვე შეუძლია ადამიანის ან მანგუსტის მოკვლა, რა წამსაც კი გამოიჩეკება. რიკი-ტიკი ჩქარობდა, კვერცხებს თავს ფაციფუცით აკვნეტდა და გულმოდგინედ ჰყლეტდა პატარა კობრებს. თან ნაკელს ქექდა, ეშინოდა — კვერცხი არსად ჩარჩესო.

ბოლოს მხოლოდ სამი კვერცხი დარჩა და რიკი-ტიკი სიხარულით ახითხითდა. ამ დროს დარზის ცოლის ძახილი გაიგონა:

— რიკი-ტიკი, ნაგაინა სახლისაკენ გავიტყუე. იგი აივანზე აცოცდა. იჩქარე, იჩქარე! ნაგაინა ბიჭის მოკვლას აპირებს!

რიკი-ტიკიმ ორი კვერცხი კიდევ გაგლიჯა და ნესვის კვალიდან ბილიკზე გადახტა. მესამე კვერცხი პირში ეჭირა. აივნისაკენ ელვასავით გაექანა, მიწას ფეხს არ აკარებდა.

თედი და მისი დედ-მამა აივანზე ისხდნენ სასაუზმოდ. მაგრამ რიკი-ტიკიმ შენიშნა, რომ ისინი საჭმელს ახლოსაც არ ეკარებოდნენ. თითქოს გაქვავებულიყვნენ. სახე გაფითრებოდათ. ნაგაინა თედის სკამთან ჭილოფზე დახვეული იწვა. ისე ახლოს მიცოცებულიყო, რომ თედის შიშველ ფეხს ადვილად მისწვდებოდა. თავი აეწია, აქეთ-იქით ირხეოდა და გამარჯვების სიმღერას მღეროდა.

— ნაგის მკვლელი დიდი კაცის შვილო, სისინებდა იგი, — არ გაინძრე, მე ჯერ მზად არა ვარ. ცოტაც მოითმინე. არც ერთი არ გაინძრეთ. თუ გაინძრევით, დაგგესლავთ; არ გაინძრევით და, მაინც დაგგესლავთ. ო, ჩემი ნაგის მკვლელო სულელო ადამიანებო!

თედის თვალები მამისათვის მიეშტერებინა. მამამისი კი მხოლოდ ჩურჩულებდა:

— თედი, წყნარად იჯექი! თედი, არ გაინძრე!

ამ დროს რიკი-ტიკი გველს მიუახლოვდა და შესძახა:

— აქეთ შემობრუნდი, ნაგაინა! შემობრუნდი და შემებრძოლე!

ყველაფერს თავისი დრო აქვს,—უპასუხა ნაგაინამ ისე, რომ თავი არც მოუბრუნებია, —შენც მალე გაგისწორდები. შეხედე შენს მეგობრებს, რიკი-ტიკი, როგორ გაქვავებულან და გაფითრებულან. ისე შეშინდნენ, განძრევასაც კი ველარ ბედავენ. იცოდე, ერთი ნაბიჯითაც არ მომიახლოვდე, თორემ შენს მეგობარს დავგესლავ!

— ერთი ღობის ახლოს ნესვის კვალში შევხვდა, ნაგაინა, — უთხრა რიკი-ტიკიმ,— გაჩვენა, შენი კვერცხები რა დღეშია!

დიდი გველი ნახევრად შემობრუნდა და აივანზე დაგდებული კვერცხი დაინახა.

— ო, მომეცი ჩემი კვერცხი! — შეჰყვირა მან.

რიკი-ტიკიმ თათები კვერცხს შემოაჭდო. თვალები სისხლისფრად ჩაუწითლდა.

— რას მომცემ გველის ერთი კვერცხის საფასურად... პატარა, მეფე კობრას საფასურად, უკანასკნელი ნაშიერის საფასურად? დანარჩენებს უკვე ჭიანჭველები ჭამენ ქვემოთ, ნესვის კვალთან.

ნაგაინა სწრაფად შემოტრიალდა რიკი-ტიკისაკენ. ამ ერთმა კვერცხმა ყველაფერი დაავიწყა, რიკი-ტიკიმ დაინახა, რომ თედის მამამისმა მხარში ჩაავლო დიდი ხელი და ჩაის ფინჯნებით გაწყობილ პატარა მაგიდაზე ისეთ ადგილას გადაათრია, სადაც ნაგაინა ველარ მისწვდებოდა.

— გაგაბრიყვე! გაგაბრიყვე! გაგაბრიყვე! რიკ-ტიკ-ტიკ! — ახითხითდა რიკი-ტიკი. — ბიჭს ველარაფერს დააკლებ! შენს ნაგს წუხელ მე, მე ჩავჭიდე თავში კბილები იქ, საბაზანო ოთახში... დიახ!

შემდეგ მან ოთხივე ფეხით მაღლა-დაბლა ხტომა დაიწყო, თავს კი იატაკს არ აცილებდა.

— ნაგი აქეთ-იქით, მისვროდა, მაგრამ ვერ მომიცილა. ცოცხალი მლარც იყო, როცა დიდმა კაცმა ჯოხით შუაზე გაწყვიტა. ნაგი მე მოვკალი. რიკი-ტიკი-ტწკ-ტწკ! მაშ მოდი, ნაგაინა, მოდი და შემებრძოლე! დიდი ხნის ქვრივობა აღარ გიწერია!

ნაგაინამ ნახა, რომ თედის ველარაფერს დააკლებდა, კვერცხი კი რიკი-ტიკის ედო ფეხებშუა.

— მომეცი კვერცხი, რიკი-ტიკი! მომეცი უკანასკნელი კვერცხი! მე წავალ და აღარასოდეს დავბრუნდები, — თქვა მან და კაპიშონი ძირს დასწია.

— დიახ, შენ წახვალ და აღარასოდეს დაბრუნდები, რადგან მალე ნაგვის გროვაზე ნაგის გვერდით, დაგაგდებენ. შემებრძოლე, ქვრივო! დიდი კაცი თოფის მოსატანად წავიდა. მაშ შემებრძოლე, ნაგაინა!

რიკი-ტიკი ნაგაინას ირგვლივ დახტოდა ისეთ მანძილზე, რომ გველი ვერ მისწვდომოდა. პატარა თვალები ნაკვერცხლებივით გავარვარებოდა.

ნაგაინა ერთიანად შეიკუმშა და თავი მისკენ გააქანა. რიკი-ტიკიმ ისკუპა მაღლა და უკან. გველი ისევ, ისევ და ისევ მიიწევდა მისკენ. მაგრამ ყოველ შეტევაზე თავს ჭილოფს უტყლაშუნებდა. შემდეგ კვლავ საათის ზამბარასავით იკუმშებოდა. რიკი-ტიკი ცეკვით უვლიდა გარს. უნდოდა, ზურგიდან მოჰქცეოდა. ნაგაინა კი სწრაფად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრიალებდა, რომ ზურგიდან თავდასხმა აეცილებინა. მისი კუდი ჭილობზე ისე შრიალებდა, როგორც ქარი ხმელ ფოთლებს აშრიალებს ხოლმე.

რიკი-ტიკის კვერცხი გადაავიწყდა. კვერცხი ისევ აივანზე ეგდო და ნაგაინა ნელ-ნელა უახლოვდებოდა. რიკი-ტიკი ერთ წამს სულისმოსათქმელად შეჩერდა. ნაგაინამ დრო იხელთა, კვერცხს პირი დასტაცა, აივნის კიბეზე ჩასრიალდა და ბილიკზე ისარივით გავარდა. რიკი-ტიკი უკან გამოედევნა. როცა კობრა თავის გადასარჩენად გარბის, ცხენის კისერზე გადარტყმული მათრახივით იკლაკნება.

რიკი-ტიკიმ იცოდა, რომ უეჭველად უნდა დასწეოდა, თორემ მთელი დავიდარაბა ხელახლა დაიწყებოდა. ნაგაინა კვერცხით ბუჩქისაკენ გაეშურა, უნდოდა, მაღალ ბალახში შემალულიყო. რიკი-ტიკიმ გაიგონა, რომ დარზი ისევ გამარჯვების სულელურ სიმღერას მღეროდა. მაგრამ დარზის ცოლი ქმარზე ჭკვიანი იყო. ბუდიდან ამოფრინდა და ნაგაინას თავს ზემოთ აფრთხიალდა. მაგრამ ნაგაინამ მხოლოდ ოდნავ დახარა კაპიშონი და კვლავ წინ გასრიალდა. თუმცა ეს ერთი წამის შეყოვნებაც კმაროდა, რომ რიკი-ტიკი გველს დასწეოდა. როცა ნაგაინა ვირთხის სოროში შესრიალდა, სადაც მას და ნაგს ბინა ედოთ, რიკი-ტიკიმ თეთრი კბილები კუდში ჩასჭიდა და უკან მიჰყვა. მანგუსტი, რაც არ უნდა ბრძენი და ხანში შესული იყოს, ძნელად თუ გაბედავს, კობრას სოროში ჩაჰყვეს.

მიწის ქვეშ ბნელოდა. რიკი-ტიკიმ არ იცოდა, სორო როდის გაფართოვდებოდა, როდის შემობრუნდებოდა ნაგაინა და დაგესლავდა. ამიტომ გველს კუდში გააფთრებით ჩაეჭიდა და ჩაბნელებული, დაფერდებული ხვრელის ნესტიან, ჩახურებულ მიწას ფეხებს მუხრუჭებივით აბჯენდა.

მალე, სოროს შესასვლელთან ბალახმა რხევა შეწყვიტა და დარზიმ თქვა:

— გათავდა რიკი-ტიკის საქმე. დროა სამგლოვიარო სიმღერა ვუმღეროთ. მამაცი რიკი-ტიკი მკვდარია! მიწის ქვეშ ნაგაინას ცოცხალი ველარ გადაურჩება!

დარზიმ ძალზე მწუხარე სიმღერა წამოიწყო. ეს სიმღერა იქვე შეთხზა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ყველაზე სევდიანი ჰანგი დაამღერა, სოროს შესასვლელთან ბალახი ისევ შეირხა, სოროდან მთლად მიწაში ამოსვრილი რიკი-ტიკი ამოძვრა და ულვაშები გაილოკა. დარზიმ რაღაც შესძახა და სიმღერა შეწყვიტა.

რიკი-ტიკიმ ბეწვი გაიბერტყა და ცხვირი დააცემინა.

— მორჩა, — თქვა მან, — ქვრივი იქიდან ვეღარასოდეს გამოვა.

წითელმა ჭიანჭველებმა, ბალახის ღეროებს შორის რომ ცხოვრობდნენ, მანგუსტის ნათქვამი გაიგონეს, დაჯარდნენ და სოროსაკენ გაემართნენ: უნდა შევამოწმოთ, მართალს ამბობს თუ არაო.

რიკი-ტიკი იქვე ბალახში მიწვა და დაიძინა. დაიძინა და ეძინა, ეძინა, ეძინა

## ჩვენი წიგნები





### „გადავხედოთ წარსულს"

ვ. გუჩუა

„ნაკადულმა" გამოსცა ვ. გუჩუას წიგნი ისტორიულ თემაზე — „გადავხედოთ წარსულს". წიგნში მოთხრობილია ქართველი ხალხის უმნიშვნელოვანესი თავდაცვითი ბრძოლების ამბები, ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მეათე საუკუნემდე.

წიგნში პოპულარული ენით არის გადმოცემული, როგორ ებრძოდა ქართველი ხალხი რომაელ და ირანელ დამპყრობლებს, მოთხრობილია პომპეუსის შემოსევაზე; დაწვრილებით არის აღწერილი გუბაზ მეფის ვერაგული მკვლელობის ამბავი. არაბთა გამოჩენას საქართველოს საზღვრებთან და მათ წინააღმდეგ წარმოებულ განმათავისუფლებელ ომებს ეძღვნება წიგნის ბოლო თავი.

ამ წიგნის წაკითხვით ბევრ რამეს გაიგებთ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი, დიდად საინტერესო მონაკვეთის პირველი ათი საუკუნის შესახებ.

### „აინშტაინი"

ბ. კუზნეცოვი

„სიკვდილის გეშინია? უკვდავებაზე ფიქრობ? კაცურად იცხოვრე! შენ მოკვდები, მაგრამ შენი საქმე იცოცხლებს მარად", — შილერის ეს სიტყვები მთლიანად ესადაგება დიდი ფიზიკოსის და მათემატიკოსის აინშტაინის ცხოვრებას.

აი, ის კვლავ ჩვენს წინ დგას: უსაზღვროდ კეთილი, ფიქრებში წასული. ჩვენს წინაა მისი ცხოვრება — მიუნჰენის გიმნაზია, იტალიაში მოგზაურობა, ხმელთაშუა ზღვის ნაპირები, ქალაქები და მუზეუმები, შვეიცარიაში გატარებული სტუდენტობის წლები, ბერნის პატენტების ბიურო, პროფესურა, ბერლინი, ომი. მსოფლიო დიდება, მოგზაურობანი, ნაცისტური დარბევები, ამერიკაში ცხოვრების და მოღვაწეობის მრავალი წელი და... ატომური ბომბის ტრაგედია. ჩვენს წინაა მისი შემოქმედება: ბროუნისეული მოძრაობის კანონები, ფოტონების აღმოჩენა, ფარდობითობის სპეციალური ზოგადი თეორია, ველის ერთიანი თეორიის ცდები...

„გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების" სერიას ბ. კუზნეცოვის წიგნით — „აინშტაინი" კიდევ ერთი, დიდი ადამიანის ცხოვრებაზე დაწერილი, ძალზე საინტერესო ნაწარმოები შეემატა.

ვ. ძიძიგური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბინდებამდე, რადგან იმ დღეს დიდი ჭაფა გახწია.

— ახლა, — თქვა მან, როცა გამოღვიძა, — შინ დავბრუნდები. დარჩი, მჭედელს უთხარი, რომ ნაგაინა მკვდარია. ის კი მთელ ბაღს შეატყობინებს.

მჭედელი—ჩიტია. იხეთი ხმა აქვს, გეგონება, სპილენძის თასზე ჩაქუჩს ურტყამენო. ეს ჩიტი ინდოეთის ბაღებში ახალ ამბავს ატყობინებს ყველას, ვინც კი მოსმენას მოისურვებს.

ბაღის ბილიკზე მიმავალმა რიკი-ტიკიმ მჭედლის პირველი შეძახილი გაიგონა. ეს შეძახილი სადილის მაუწყებელი პაწია გონგის ხმას წააგავდა.

— ყურადღება! ყურადღება! — იძახდა მჭედელი.

შემდეგ კი უფრო ხმამაღლა დასჭექა:

— დინგ-დონგ-ტოკ! ნაგი მკვდარია! დონგ! ნაგაინა მკვდარია! დინგ-დონგ-ტოკ!

ამ ამბავმა მთელი ბაღი გამოაცოცხლა. ჩიტებმა გალობა დაიწყეს. აყიყინდნენ ბაყაყებიც, იმიტომ რომ, ნაგი და ნაგაინა მარტო ჩიტის ბარტყებს კი არა, ბაყაყებსაც მიირთმევდნენ. როცა რიკი სახლს მიუახლოვდა, იქიდან თედი, თედის დედა (იგი ისევ გაფითრებული იყო) და თედის მამა გამოეგებნენ. რიკი-ტიკის დანახვაზე კინაღამ ატირდნენ.

იმ საღამოს რიკი ყველაფერს მიირთმევდა, რასაც სთავაზობდნენ. სანამ ჭამის თავი ჰქონდა, პირი არ გაუჩერებია. როცა ძილის დრომ მოაწია, თედის მხარზე შეასკუპდა და საწოლისაკენ გაემართა. ღამით, თედის დედა შვილის დასახედად რომ შევიდა, რიკი-ტიკის თედის მკერდზე ეძინა.

— ეს არის ჩვენი მხსნელი, — უთხრა თედის დედამ ქმარს, — აბა, დაფიქრდი, მაგან გადაგვარჩინა ყველა — თედიც, შენც და მეც.

რიკი-ტიკის გამოეღვიძა და წამოხტა, მანგუსტებმა ხომ ძალზე ფხიზელი ძილი იციან.

— ოჰ, ეს თქვენა ხართ? — თქვა მან — რაშ შეგაწუხათ? არც ერთი კობრა აღარაა ცოცხალი. თუნდაც ცოცხლები იყვნენ, მე აქ არა ვარ?

რიკი-ტიკის უფლება ჰქონდა ეამაყნა. მაგრამ მეტისმეტად არ გაამაყებულა და, როგორც ჭეშმარიტ მანგუსტს შეეფერება, ისე იცავდა ბაღს კბილებით, ბრჭყალებით და ნახტომებით. მისი შიშით ვერც ერთი კობრა ვერ ბედავდა ღობის შიგნით გამოჩენას.

ინგლისურიდან თარგმნეს
გივი კიკილაშვილმა და
არიანე ჭანტურიამ.

მხატვარი ზურაბ ფოცხიშვილი.




## ხანძარს აქრობენ... რაკეტები

ხანძრის კერისაკენ მიჰქრის მანქანა, რომელზედაც რაკეტული დანადგარია. აი, რაკეტების გამშვებ ღილაკს დააჭირეს თითი და, ჰაერში აიჭრა ოთხი რაკეტა. წამიც არ გასულა, რომ ისინი მეექვსე სართულის ფანჯარაში შეფრინდნენ და ცეცხლში გახვეულ ბინაში აფეთქდნენ. მყისვე დამოკლდა ცეცხლის ენები, ბოლმაც კლება იწყო...

ხანძარსაწინააღმდეგო პლასტმასური რაკეტები გამოიგონეს იაპონელმა სპეციალისტებმა, მათი საშუალებით ხანძრის ჩაქრობა შეიძლება საწვავი სითხეების საწყობებშიც. რაკეტის აფეთქებისას გამანეიტრალებელი ქიმიკატები 80-50 მეტრ რადიუსზე იფანტება.



## გასაღებები წარსულს ჰბარდება

კარის საკეტის გასაღებები წარსულს ჰბარდება, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც უფრო და უფრო შემოდის ხმარებაში ბოქლომები, რომლებსაც, ტელეფონის მსგავსად, აქვთ ნომერატორები. ბინის კარი მხოლოდ მას შემდეგ იღება, როცა საჭირო ნომერს აკრეფავ.

## ყველაზე გავრცელებული გვარი

მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული გვარი, სიტყვა „მჭედლიდან“ არის ნაწარმოები. საბჭოთა კავშირში კუზნეცოვები რაოდენობით მესამე გვარია. პირველი ადგილი უჭირავთ ივანოვებს, მეორე — სიმონოვებს. მაგრამ თუ კუზნეცოვებს მივუმატებთ კოვალიოვებს, კოვალჩუკებს, კოვალიუკებს. და კოვალებს, ეს თანაფარდობა კუზნეცოვის სასარგებლოდ შეიცვლება (კოვალი — უკრაინულად მჭედელს ნიშნავს).

ანალოგიური გვარები ფართოდაა გავრცელებული სხვა ქვეყნებშიც. „მჭედლიდანაა“ წარმოშობილი ქართული გვარები: მჭედლიშვილი, მჭედლიძე, მჭედლიანი.

ანგლო-საქსურ ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული გვარია — სმიტი, გერმანიაში — შმიდტი (სმიტიც და შმიდტიც — მჭედელს ნიშნავს), პოლონეთში — კოვალსკი.

## ნალი და ბედნიერება.

საიდან გაჩნდა რწმენა, თითქოს ნაპოვნ ნალს ბედნიერება მოჰქონდეს?

ცხენის დაჭედვა ჩვენს ერამდე დაიწყეს. პირველად ცხენებს მხოლოდ სილამაზისა-



თვის ჭედავდნენ. ამას სხვაზე მეტად მდიდრები ახერხებდნენ — ცხენებს ვერცხლით ან ოქროთი ჭედავდნენ. ამიტომ ნალის პოვნა მართლაც ბედნიერება იყო.

## „კარლ XXV-ს, პირადად“

ავსტრიის ერთ პატარა სოფელში — რაუხონვალდში არსებობს ერთგვარად სახაცილო და იშვიათი ჩვეულება: ადგილობრივ მკვიდრთ მათი სახლების ნომრის მიხედვით იხსენიებენ. ასე იმიტომ იქცევიან, რომ აქ ბევრ მცხოვრებს ერთიდაიგივე სახელი და გვარი აქვს. მაგალითად, 12 კაცი ლეოპოლდ ბაუერია, ბევრს-ჰქვია კარლ რეშე და ა. შ. სახლის ნომერის მიხედვით იწერება ადრესატის სახელიც. მაგალითად: „პოლდი XV“, ან კიდევ, „კარლ XXV“.

## კენგურუ მოკრივე

ტოკიოს ქუჩებში პოლიციის მანქანა მიჰროდა. მანქანის წინ, უზარმაზარი ნახტომებით მირბოდა კენგურუ. ბოლოს და ბოლოს მდევრები დაეწიენ კენგურუს და... გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. პირდაპირი და გვერდითი ოსტატური დარტყმებით, გამოცდილ მოკრივესაც რომ შეშურდებოდა, კენგურუმ რამდენიმე მოწინააღმდეგე მწყობრიდან გამოიყვანა.

თურმე, ცირკიდან გამოქცეული კენგურუ, სახელად რუმი, არენაზე მოკრივის როლში გამოდიოდა.




თუ საწოლის ბადე ძალიან ჩაიზნიქა—აიღე შენი სახელოსნოდან ბრტყელტუჩა, ბადის უჯრედები მიგრიხ-მოგრიხე და ბადე ისევ გაიჭიმება.



თხელ ფიცარში ლურსმნის ჩაჭედებისას ფიცარი ხშირად სკდება. ერთი შეხედვით საოცარია, მაგრამ თუ ლურსმანს ბო-



ლოს წაუქლიბავ ან გაზით წააკვნეტ,—არხეინად იყავი, როგორი ფიცარიც არ უნდა იყოს, არ გაიბზარება.



ბოლო ხანებში, ოჯახებში თუ დაწესებულებებში, ძალზე ხშირად შეხვდებით აქვარიუმებს, სადაც თევზები დანავარდობენ. აქვარიუმში წყალს ხშირად სჭირდება გამოცვლა. ამ პროცედურის დროს კი თევზები შეიძლება გაილახონ, ამიტომ, სასურველია გქონდეთ ორი აქვარიუმი, ერთი — თევზებით, მეორე — ცარიელი. როცა წყლის გამოცვლა დაგჭირდება, ერთ აქვარიუმს მეორესთან მოხრილი მილით ხიდივით დააკავშირებ და თევზებიც სიამოვნებით გადავლენ ახალი წყლით სავსე აქვარიუმში.



თუ საცობი ბოთლის ყელისათვის პატარაა, ჩააგდე მდუღარე წყალში და გადიდდება; თუ დიდია — გვერდზე ან ქვედა თავზე ანასერი გაუკეთე.

თუ უთოს ფსკერზე ქანგი მოეკიდა ან რაიმე ლაქა დააჩნდა, ქაღალდზე მარილი დაყარე და ზედ ცივი უთო გაუსვ-გამოუსვი, — უთოს ფსკერი ხელად გაპრიალდება.

## სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


**ე. სარალიძე** — შენ მზე ხარ! (ლექსი) . . . . . . 1

**დ. კლდიაშვილი** — საპატიო დავალება (მოგონება) . . 1

**რ. ქორქია** — ძვირფასი წვლილი. ჩიტბატონა (მოთხრობები) . . . . . . 2

**გ. კაჭახიძე** — თქვენს გასაგონად, ტყემლებო. ნაკადულებო, ფრთხილად! (ლექსები) 3

**გ. საითიძე** — ხალხთა ძმური ოჯახი (წერილი) . . 4

**გ. კაკაბაძე** — ეს გზა მზემდე აგიყვანთ (ნარკვევი) . . 7

**ნ. კეცხოველი** — ცხრათვალა მზის ქვეშ (მოთხრობა, დასასრული) . . . . . . 10

**ნ. ქავთარაძე** — მუსიკა მხოლოდ გართობა როდია (წერილი) . . . . . . 14

**მ. ხერგიანი** — თეთრი სახურავები (მოთხრობა) . . 16

**ჩ. ჩაპლინი** — ეცადე შენც! (წერილი) . . . . . . 22

**რ. კიპლინგი** — რიკი-ტიკი-ტავი (მოთხრობა. თარგმანი გ. კიკილაშვილისა და ა. ჭანტურიასი) . . . . . 24

ოქროს საწმისი . . . 25

**ი. ბარამიძე** — მთების სიმფონია. უსათაურო (ლექსები) . 27

ახალი წიგნები . . . 30

ჯადოსნური სარკე . . 31

გამოგადგება . . . . 32

თავშესაქცევი . . . გარეკანის . 3



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა რევაზ ცუცქირიძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 04852 ტირ. 67.700. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 22/III-67 წ. სტამბის შეკვ. 704. გამომც. შეკვ. 260. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი

**ვერტიკალურად** 1. ცნობილი რუსი რევოლუციონერი; 2. ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები; 3. ქართული ძილისპირული სიმღერა; 4. მდინარე საქართველოში. 10. რიცხვი; 11. ქალაქი რუსეთში; 12. ფალიაშვილის ოპერა; 15. გარეული ფრინველი; 16. მტაცებელი ფრინველი; 17. ქალაქი საქართველოში; 18. კონტინენტი .

**ჰორიზონტალურად:** 1. ჯარისკაცის ტანსაცმელი; 3. გარეული ფრინველი; 5. ლითონი; 6. ძვირფასი ქვა; 7. ხილი; 8. ქალაქი საქართველოში; 9. ანტიკური ხანის ტრაგიკოსი მწერალი; 12. ფრინველი; 13. ცნობილი ქართველი მწერალი; 14. ერთ-ერთი ევროპული სახელმწიფოს დედაქალაქი; 15. სახელმწიფო ევროპაში; 17. კავშირგაბმულობის დაწესებულება; 19. მწერი; 20. ძველი ქართველი დასტაქრის სახელი; 21. მღრღნელი ცხოველი; 22. შინაური ცხოველი; 23. სოფელი სამხრეთ ოსეთში.

შეადგინა

**ხობის რაიონის სოფ. შუა ხორგის საშ. სკოლის V კლ. მოსწავლე მანანა ლატარიამ.**




## თავშესაქცევი

### თავსატეხი




ნახ. 1

სქელი ქაღალდისაგან გამოჭრილი ჩარჩო, წყვილი ჩექმა და ოვალური რგოლი ისე, როგორც ეს ნაჩვენებია პირველ ნახატზე. რგოლის შიგა დიამეტრი და ჩარჩოს გვერდების სივანე უნდა იყოს ტოლი და ამავე დროს — ჩექმის ყელზე ვიწრო.

ჩარჩო მოკეცე სიგრძეზე ორად. მოკეცილ ჩარჩოზე ჩამოაცვი რგოლი და ჩექმები ისე, როგორც ეს მეორე ნახატზეა ნაჩვენები. შემდეგ რგოლი ჩამოაცვი ჩექმის ყურებს და ჩარჩო გაშალე. მიიღებ თავსატეხს (დახედე მესამე ნახატს), გაუწოდე იგი შენს ამხანაგს და უთხარი, მოხსნას ჩექმები ისე, რომ ქაღალდის ჩარჩო არსად არ გახიოს.



ნახ. 2



ნახ. 3

## პასუხი მე-3 ნომერში მოთავსებულ „თავშესაქცევზე"

### ფანქრის ერთი მოსმით

ფიგურის შემოხაზვა იწყება წრეში ჩახაზული ვარსკვლავის ერთ-ერთი ქიმიდან. ვარსკვლავის შემოხაზვის დამთავრების წერტილიდან იწყება წრეხაზის რკალის გაყვანა ვარსკვლავის მეორე ქიმამდე, აქ კი იწყება პატარა ვარსკვლავის შემოხაზვა. შემდეგ გრძელდება რკალი ვარსკვლავის მეორე ქიმამდე და ახლა აქ იხაზება მეორე პატარა ვარსკვლავი. შემდეგ, იგივე წესით იხაზება დანარჩენი რკალებიც და ვარსკვლავებიც.

### სცადე წაიკითხო

მშვიდობა მსოფლიოს

### გეოგრაფიული ჩაინვორდი

1. ალბანეთი; 2. იუკონი; 3. იტალია; 4. აზია; 5. არალი; 6. ისლანდია; 7. ალეუტი; 8. იამაიკა; 9. ამერიკა; 10. არგენტინა; 11. ავსტრალია; 12. ანაპა.

# პირდაპირი გაგებით

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე



...ენას ილესავს.



...პირზე ბოქლომი დაადეს!



...თავს კედელს ახლის.



...პირში ბურთი ჩასჩარეს.



...პირში ჩალა გამოავლეს.



...ჭურში ზის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76157